# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცილებით და ჭორებით ბეჭ-დვის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 25 ნოემბერი. 2020 წ. №166 (9092) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# სინდისგაუქმებულნი!!!





## ჭაობში ჩაცვივნული ვირთხებივით... ③





# ოპოზიციამ „სიცოცხლეზეც“ უარი თქვა!

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, ოპოზიციამ ხელისუფლების ყველა იმ შეთავაზებაზე თქვა უარი, რაც არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტებას ეხებოდა.

**— დისკუსიის ამოსავალი წერტილი არის ის, თუ როგორია რეალურად არჩევნების შინაარსი. თუ, პირობითად, არჩევნები გაყალბდა, ბუნებრივია, ერთი მიმართულებით უნდა წავიდეთ, მაგრამ, თუ არ გაყალბდა, უნდა ვიაროთ მეორე მიმართულებით. მოცემულობა არის ის, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები, რა თქმა უნდა, ხარვეზებზეც საუბრობენ.**

**ხარვეზები ვლინდება ყველა არჩევნებზე, თუმცა ყველა საერთაშორისო დამკვირვებლის პოზიცია არის, რომ საქართველოში არჩევნები შედგა, ეს არჩევნები იყო კონკურენტული და თავისუფალი. ეს წერია მათ შორის მთავარი სადამკვირვებლო მისიის, ეუთო/ოდირის ანგარიშშიც, რომელიც ყოველთვის არის მთავარი სადამკვირვებლო ორგანიზაცია.**

**ჩვენ გვაქვს ნათელი შეფასება საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან. მიუხედავად ამისა, ჩვენ პარტიებს დავეთანხმეთ დეტალების დაზუსტებაზე, რისთვისაც შევთავაზეთ მათ 1500-მდე უბნის გადათვლა, რაზეც მივიღეთ უარი და იყო მხოლოდ სპეკულაციები, თითქოს მეორე რაუნდისთვის ამის შესაძლებლობა დახურულია. მართალია, 13-ში შეჯამდა ცესკოს მიერ არჩევნების შედეგები, მაგრამ მიდიოდა სასამართლოში და სასამართლოს ჰქონდა, მათ შორის ცესკოს პოზიტიური წინადადების საფუძველზე, უკან შემობრუნების საშუალება. მეორე რაუნდის შემდეგაც იყო 5-დღიანი სივრცე იმისთვის, რომ უბნები გადათვლილიყო. ასევე სპეკულაციები გვესმოდა „კარუსელთან“ დაკავშირებით. „კარუსელი“ რომ არ მომხდარა, ამის დასტურია 20-საათიანი უწყვეტი ვიდეოჩანაწერი 3700 უბანზე, რასაც ვაჩვენებდით, თუმცა, ამაზეც მივიღეთ მტკიცე უარი.**

**მესამე იყო დებატები არჩევნების ყველა დეტალთან დაკავშირებით, ამაზეც მივიღეთ უარი. მათ ყველაფერზე თქვეს უარი, რაც უკავშირდებოდა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტებას“.**

**რედაქციისგან:**

გამოდის, რომ ოპოზიციამ საკუთარ გაძაღლებულ სიცოცხლეზეც თქვა უარი!

ვიზიარებთ მწუხარებას მოღალატე ოპოზიციის გარდაცვალების გამო!..

## პირბადიანი დრო

**როდესაც ადამიანს კორონავირუსი აქვს და სახლში არ იკეტება, ეს უკვე კრიმინალია!** ⑤

საქართველოში უკვე კორონავირუსით ინფიცირების 114 889 შემთხვევაა დადასტურებული. გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა 95 581-ს შეადგენს. გარდაიცვალა 1 085 მოქალაქე!!!

## ტაძრებში სრული წესრიგი უნდა იყოს!

კორონავირუსის მეორე ტალღის აქტიური გავრცელების გამო, საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს.

**„COVID-19-ის მეორე ტალღის აქტიური გავრცელების გამო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, მივმართავთ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებს, წინამძღვრებს, სასულიერო პირებს:**

**აუცილებელია, ტაძარში ყოფნის დროს მრევლმა დაიცვას დისტანცია და ეკეთოს პირბადე, ხოლო, ვინც თავს შეუძლოდ გრძნობს ან რისკის ჯგუფს განეკუთვნება, სჯობს, თავი შეიკავოს მსახურებებზე დასწრებისგან. ზიარების ან სხვა საჭიროების შემთხვევაში მათ მოძღვარი სახლში მიაკითხავს.**

**ზოგადად, აუცილებელია, შესრულდეს ყველა ის წესი, რაც პანდემიის პირველი ეტაპის დროს იყო რეკომენდებული და გამოყენებული“.**

**ტრამპის ხუშტურებმა ბევრ ამერიკელ მოკავშირეს შეუქმნა პრობლემები, მაგრამ საქართველო ამას გადაურჩა!** ⑧

## ისევ ცარიელი ლაყაფი?!

**ამერიკული ბაზების საქართველოში განლაგება არის დიდი ხიფათის შემცველი, მეორე მხრივ, არის უზარმაზარი ბონუსის მომტანი!** ④

# ეს დე ფაქტო ანექსიისკენ გადადგმული მორიგი უკანონო ნაბიჯია!!!

**მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს დესტრუქციული მოქმედებები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსიისაკენ მიმართული უკანონო ნაბიჯები,** — ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. სამინისტრო რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებულ აფხაზეთის რეგიონს შორის ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების პროგრამის დამტკიცებას განცხადებით ეხმაურება.

**„რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებულ აფხაზეთის რეგიონს შორის ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების შესახებ პროგრამის დამტკიცება წარმოადგენს დე ფაქტო ანექსიისაკენ გადადგმულ მორიგ უკანონო ნაბიჯს, რომელიც საქართველოს განუყოფელი რეგიონების რუსეთის სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემაში ეტაპობრივად ინტეგრაციას ემსახურება.**



**რუსეთის ფედერაციასა და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმს შორის 2014 წლის ნოემბერში დადებული ე.წ. „ხელშეკრულება“ მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ისევე, როგორც მის ფარგლებში შემუშავებული ყველა ე.წ. „შეთანხმება“, „მემორანდუმი“ თუ „პროგრამა“ უკანონოა და ვერ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგს. მსგავსი პროვოკაციული ნაბიჯებითა და ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტებით რუსეთის ფედერაცია უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებსა და პრინციპებს, ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონში მშვიდობას და უსაფრთხოებას.**

**მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს დესტრუქციული მოქმედებები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსიისაკენ მიმართული უკანონო ნაბიჯები, შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, გაიყვანოს თავისი სამხედრო ძალები საქართველოს ტერიტორიიდან და ხელი არ შეუშალოს ადგილზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნას“,** — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# „პატრიოტთა ალიანსი“ სინდისიდან გამომდინარე იმოქმედებს



**ხელისუფლების მხრიდან, ახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე მკაფიო და სერიოზული შემოთავაზება არ ყოფილა. ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ელჩებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

მისივე თქმით, „პატრიოტთა ალიანსი“ სინდისიდან გამომდინარე მოქმედებს და ზეგავლენას არავითარ შემთხვევაში არ დაექვემდებარება.

**„ჯერ აყალბებენ არჩევნებს და მერე იწყება „დუბინკები“. ეს რომ არ მოხდეს, მე ვმოქმედებ ჩემი შინაგანი სინდისიდან გამომდინარე. არავითარ შემთხვევაში არ დავექვემდებარები არავითარ ზეგავლენას, კობახიძემდინარაძის სოციალურ ქსელში დაქირავებულ კოორდინატორებს, რომლებიც ათას სისაძაგლეს წერენ — „შედით პარლამენტში“ და ასე შემდეგ. ვიმოქმედებთ ჩვენი სინდისიდან და ჩვენი პრინციპებიდან გამომდინარე. არავითარი მკაფიო და სერიოზული შემოთავაზება, რაც ახალი არჩევნების დანიშვნას უკავშირდება, არ ყოფილა. სხვა დეტალებზე მათ ნაცვლად არ ვისაუბრებ, კორექტული არ იქნება“,** — განაცხადა ინაშვილმა.



# მთავრობაში შეზღუდვების გამკაცრების რამდენიმე ვარიანტზე იმსჯელეს

**საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, წერტილოვანი შეზღუდვების გამკაცრებისა და გაფართოების საკითხი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჯანდაცვის სფეროს ექსპერტებთან განიხილა.**

შეხვედრაზე, რომელიც გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, პრემიერმა ისაუბრა შეზღუდვების გამკაცრების რამდენიმე ვარიანტზე, რომელიც ბოლო დღეების განმავლობაში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ერთად განიხილება.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ვირუსის გავრცელების ამ ეტაპზე, როდესაც ქვეყანა პიკში შედის, საჭიროა წერტილოვანი შეზღუდვების კიდევ უფრო გაფართოება. მათი შეფასებით, დამატებითი შეზღუდვები ინფიცირების რაოდენობას მკვეთრად არ შეამცირებს, თუმცა ხელს შეუწყობს ვირუსის გავრცელების მაქსიმალურ შეზღუდვას. გარდა ამისა, ჯანდაცვის სფეროს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შემზღუდავი ღონისძიებები აუცილებელია, რათა უფრო ეფექტურად იმართოს კლინიკური სექტორი, არ გადაიტვირთოს ჰოსპიტალური სისტემა და კლინიკის მიღმა არ დარჩნენ ადამიანები, რომლებსაც სტაციონარული სერვისები პირველ რიგში სჭირდებათ.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ანალოგიური შეხვედრა გაიმართა ბიზნესის წარმომადგენლებთან, ვინაიდან ხელისუფლების მიზანია, სხვადასხვა სექტორთან და სფეროს პროფესიონალებთან კონსულტაციების შედეგად, ერთობლივად იყოს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ერთი მხრივ ნაკლებად დააზიანებს ეკონომიკას და ამავდროულად ეფექტური იქნება ვირუსის გავრცელების დინამიკის მართვის თვალსაზრისით. საზღვარგარეთ მოღვაწე ჯანდაცვის სფეროს ექსპერტებმა საქართველოს მთავრობას ასევე გაუზიარეს შეზღუდვების კუთხით იმ ქვეყნებში არსებული გამოცდილება, სადაც საქმიანობენ.

შეხვედრას ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე, ვიცე-პრემიერი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი და ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი ესწრებოდნენ. დისკუსიაში მონაწილეობდნენ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე, ცენტრის დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში პაატა იმნაძე, იმუნოლოგ-ალერგოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი და ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი გოცაძე.

# თბილისის პირველადი ბიუჯეტი 840 მილიონია!

**თბილისის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.**

თბილისის მერმა მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელს ლევან ჯღარკავას დაავალა, დედაქალაქში უკანონოდ მითვისებულ მიწის ნაკვეთებზე აშენებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი დროულად განახორციელონ, რადგან ქალაქში მსგავსი ფაქტები გახშირდა.

**„კატეგორიულად მიუღებელია სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების უკანონოდ მითვისება. ეს არც ჩემია, არც თქვენი. ეს სახელმწიფოს საკუთრებაა და არავის უნდა მივცეთ იმის უფლება და შესაძლებლობა, რომ ეს ყველაფერი მიიტაცოს. იმ ადამიანებს რა პასუხს ვცემთ, ვინც კეთილსინდისიერად იქცევა და კანონს ემორჩილება?! დღესვე დაიწყეთ ქმედება. შეგიძლიათ, დაიხმაროთ შინაგან საქმეთა სამინისტრო. მინისტრთან კონსულტაციები მქონდა და ყველანაირად გექნებათ მხარდაჭერა და თანადგომა, რომ დედაქალაქში ეს უმსგავსობა დავამთავროთ“...**

მთავრობის სხდომაზე კახა კალაძემ ვაკის რაიონში ამოქმედებულ ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემაზეც ისაუბრა და მოსახლეობას სთხოვა, სატრანსპორტო საშუალებების უფასოდ დარეგისტრირების მიზნით, პარკირების ზონებში განთავსებულ მუნიციპალურ პავილიონებს დროულად მიმართონ.

მისივე თქმით, საათობრივი პარკირების ზონებში განაწილებული ინსპექტორები სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებს აპლიკაციის ჩამოტვირთვისა და საფასურის გადახდასთან დაკავშირებით, უფასო კონსულტაციას ადგილზე უწევენ.

**„ჩვენი სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება ზონალურ-საათობრივი პარკირებაა, რომლის განხორციელება წარმატებით მიმდინარეობს. აღნიშნული სისტემა უკვე ამოქმედდა კოტე აფხაზის ქუჩაზე, ორბელიანის მოედანზე, პეკინის გამზირსა და მიმდებარე ქუჩებზე. შემდეგი ეტაპი უკვე 20 ნოემბრიდან ამოქმედდა ვაკის რაიონში. კონკრეტულად, ეს არის ჭავჭავაძის გამზირი, ფალიაშვილისა და მისი მკვეთი ქუჩები. ჩვენ ვაგრძელებთ ამ სისტემის დანერგვას მთელი ქალაქის მასშტაბით, რა თქმა უნდა, ეტაპობრივად. მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო ვაკის მოსახლეობას, რომ ვინც ვერ მოახერხა ავტომობილების დარეგისტრირება, იმისთვის, რომ მათ უფასო პარკირებით ისარგებლონ, დროულად მიმართონ ადგილზე არსებულ მუნიციპალურ პავილიონებს. ჩვენი თანამშრომლები ყოველდღიურ რეჟიმში არიან კონკრეტულ ლოკაციებზე და მაქსიმალურად ეხმარებიან მოსახლეობას რეგისტრაციის“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა აქვე აღნიშნა, რომ საბურთალოს რაიონში, პეკინის გამზირის შემდეგ, ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის გამზირებზე ამოქმედდება. აღნიშნული პროექტის დაწყების თარიღს საზოგადოება მომდევნო მთავრობის სხდომაზე შეიტყობს. თბილისის მერმა მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ დედაქალაქის საკრებულოში წარდგენილი პროექტი ბიუჯეტის პირველადი ვარიანტია. მისი თქმით, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერისა და თანადგომის შედეგად, ბიუჯეტის საბოლოო პროექტი განსხვავებული იქნება, ვიდრე მისი პირველადი ვარიანტი.

**„რატომღაც, ყოველი წლის ბოლოს, მიზანმიმართულად ხდება ოპონენტებისგან მცდელობა, რომ ახალი ბიუჯეტის წარდგენა საკრებულოში წარმოაჩინონ ისე, რომ თითქოს, დავიღუპეთ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მცირდება და ა.შ. ამაზე გაკეთდა განმარტებები, თუმცა მინდა, საზოგადოებას კიდევ ერთხელავუხსნა, რომ ეს თანხა — 840 მილიონი ლარი, რომელიც გაიგზავნა, არის პირველადი ბიუჯეტი. ჩვენ, ყოველ წელს, ცენტრალური ხელისუფლებისგან გვაქვს მხარდაჭერა და თანადგომა, რადგან ყველას კარგად გვესმის, რომ მხოლოდ მუნიციპალიტეტის შემოსავლებით ვერ შევძლებთ იმ პრობლემებს და გამოწვევებს ვუპასუხოთ, რაც გვაქვს. ამისთვის გვჭირდება ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა. დარწმუნებული ვარ, რომ წლევანდელი ბიუჯეტი პირველადთან შედარებით, განსხვავებული, უფრო მეტი იქნება და სხვადასხვა მიმართულებით, მეტი პროექტის განხორციელება შეგვეძლება. ეს ეხება ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს და სხვა საჭიროებებს“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა ფინანსთა სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა. კახა კალაძემ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, აღინიშნა, რომ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა სამგორის რაიონში, თაყაიშვილის ქუჩაზე, 8 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია განახორციელა. არსებული რეკრეაციული სივრცის მოწყობა ადგილობრივი მცხოვრებლების დიდი სურვილი იყო...








# ჭაობში ჩაცვივნული ვირთხებივით...

## ქართული ოპოზიცია, ანუ როყიო ფრაზების ნარატივი

**ქართველი პოლიტიკანების მხრიდან როყიო და უაზრო ფრაზები უცხო არ არის, მაგრამ მას შემდეგ, რაც არჩევნების შემდგომ პერიოდში თავი საბოლოოდ გაიფარჩაკეს და საერთოდ მოწყდნენ რეალობას, წარმოუდგენლად დამაბნეველი გამოთქმები კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა.**

**ლევან ბერძენიშვილი, სალომე სამადაშვილი, ნიკა მელია და ამ „კლასტერის“ სხვა წარმომადგენლები აქტიურად აგრძელებენ ნარატივს — შეურაცხყოფა მიაყენონ ყველას, ვინც დიად სააკაშვილს ლოცვებს არ აღუვლენს და მის სიბრძნეში ოდნავი ეჭვი ეპარება.**

**ეს ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ 16 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილმა ჰოლანდიელ დეპუტატს ტინი კოქსს, რომელიც საქართველოში არჩევნებზე ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციას ხელმძღვანელობდა, „ეფესბეს“ აგენტი უწოდა.**

იმ დღესვე დამიკავშირდა ჩემი მეგობარი და კოლეგა, რომელიც ჰოლანდიის პარლამენტში მუშაობს და პირადად იცნობს ბატონ ტინი კოქსს, რომელიც სააკაშვილის ამ როყიო და სრულიად სულელური განცხადებით საკმაოდ შეშფოთებულია. ბატონი კოქსი იანვარში საქართველოში ჩამოსვლას აპირებს. მე მასთან შეხვედრის და საუბრის შესაძლებლობა მექნება. დარწმუნებული ვარ, რომ საკმაოდ ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

* * *

**ვინმე ლევან ბერძენიშვილმა ქართველ ხალხს შეურაცხყოფა მიაყენა და ამომრჩეველთა უმრავლესობას ავადმყოფები უწოდა.**

ბევრჯერ დამიწერია და ახლაც პირდაპირ ვიტყვი — ლევან ბერძენიშვილი, როგორც ერთი სუბიექტი არის ჩვეულებრივი თაღლითი, რომლისგანაც აგრესიული ლიბერალიზმის იდეოლოგებმა შექმნეს ე.წ. ინტელექტუალის სახე და თავიანთი მედიასაშუალებების მეშვეობით სცადეს დაემკვიდრებინათ აზრი, რომ 2003 წლამდე საქართველოში განათლებული ადამიანი არ არსებობდა და მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაგვიმართლა და ეს მიმალული განძი აღმოვაჩინეთ.

არადა, ყველაფერი ძალიან მარტივია. ეს არსება, რომელიც ხალხში მოარული ხმებით საბჭოთა კგბ-ს ჩვეულებრივი „ნასედკა“ იყო, არის ის პროდუქტი, რომელსაც სხვადასხვა სფეროში ქმნიდა სააკაშვილის ხელისუფლება და ახალგაზრდობას სთავაზობდა. ლევან ბერძენიშვილი საბჭოური იდეოლოგიის იმ მიმართულების ჩვეულებრივი გამოვლინებაა, რომლითაც საბჭოთა ფილმებში იქმნებოდა დაბნეული და წვერცანცარა ინტელიგენციის სახე. იმ ინტელიგენციის, რომლებიც მხოლოდ პროლეტარიატიდან გამოსული მყარი იდეოლოგიის მატარებელი ახალგაზრდა ბოლშევიკის წყალობით თავს დაიხსნიდა ბურჟუაზიის კლანჭებიდან და ჭეშმარიტებას ეზიარებოდა.

მისი კომიკური სახით ნაცებმა სცადეს სწორედ ასეთი გამოსწორებული ინტელიგენტის, განათლებული ადამიანის სახის შექმნა, რაც, საბედნიეროდ, არ გამოუვიდათ.

* * *

მას შემდეგ რაც სალომე სამადაშვილმა თავისი მართლაც და სწორი აზრი ნაციონალური მოძრაობის შესახებ უცხო პირთან საუბრისას ღიად და ზუსტად დაადასტურა, ერთი პირობა ვიფიქრე, აზროვნება შეეცვალა-თქო და ცოტა სხვანაირი თვალით შევხედე, მაგრამ „დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“

— 30 წელია სადღაც მივხოხავთ — სამოქალაქო ომი, მშვიდობიანი რევოლუცია, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა, ყველაფერი გავიარეთ. დღეს დაგვაბრუნეს იქ, საიდანაც დავიწყეთ — 1990 წელს, ბოიკოტირებულ ერთპარტიულ არჩევნებში.

ქალბატონო სალომე, შეგახსენებთ საქართველოს ისტორიის არც თუ ისე შორეულ წარსულს:

— 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევიდან სამოცდაათი წლის შემდეგ, შესაძლებელი გახდა დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. არჩევნებში 14 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა. არჩევნები ჩატარდა შერეული სისტემით. არჩეულ იქნა უზენაესი საბჭოს 250 (125 პროპორციული და 125 მაჟორიტარული სისტემით) დეპუტატი 5 წლის ვადით. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 მილიონ 444 ათასი კაცი იყო, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 67%-მა. 4%-იანი ბარიერი გადალახა და პროპორციული სისტემით მანდატები მოიპოვა მხოლოდ ორმა პარტიამ:

**1. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ (81 დეპუტატი)**

**2. საქართველოს კომუნისტური პარტია (44 დეპუტატი)**

**3. მაჟორიტარული წესით კი ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:**

**4. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ (43 დეპუტატი)**

**5. კომპარტია (17 დეპუტატი)**

**6. სახალხო ფრონტი (11 დეპუტატი)**

**7. „დემოკრატიული საქართველო“ (2 დეპუტატი)**

**8. რუსთაველის საზოგადოება (1 დეპუტატი)**

უზენაეს საბჭოში წარმოდგენილი იყო 6 პარტია.

ქალბატონო სალომე, არ არის ეს ტექსტი ძალიან დიდი და წაკითხვა თავისუფლად შეგიძლიათ. ასევე გაახლებთ 2016 წელს ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებას, რომელიც „ნეტ გაზეთშიც“ დაიბეჭდა: — ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, ენმ მეორე ტურებში მონაწილეობას მიიღებს და პარლამენტშიც შევა. ამის შესახებ პოლიტსაბჭოს დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს დავით ბაქრაძემ განუცხადა.

* * *

**— ადამიანი, რომელიც დაწერს, რომ არჩევნები ჩატარდა კონკურენტულ გარემოში, არის უნამუსო — ნიკა მელიამ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო დელეგაციის ხელმძღვანელის, ფინელი პარლამენტარის პია კაუმას მისამართით განაცხადა.**

არ მინდა იმის თქმა, რომ მსგავსი განცხადება რუსული პროპაგანდის ნარატივია.

არ მინდა, რადგანაც მათი იდეოლოგის ნიკა გვარამიას და რუსული პროპაგანდის ჰაზრით სტრასბურგის სასამართლო, ევროსტრუქტურები, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი „ხიხიები“ არიან.

**მხოლოდ მიHაა უზენაესი ჭეშმარიტება და ვაშაძე, გვარამია, მელია, გუბაზა, ხაბეიშვილი, ბოკუჩავა-დეკანოიძე და სხვანი არიან მოციქულნი მისნი.**

**მოკლედ რომ ვთქვა, უკვე შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ კორონაცების გავლენები დასავლურ ინსტიტუტებზე საკმაოდ შეირყა. ისინი ჭაობში ჩაცვივნული ვირთხებივით ფართხალებენ და თავიანთი უაზრო, ანტიეროვნული განცხადებებით თუ როყიო წამოძახილებით კიდევ უფრო ღრმად ეფლობიან!...**



**გია გაბრიჭიძე**

ტელ: 555-591-668

---

**ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს!..**

# „კუდების ჭრა“,

## ანუ ჩვენს შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო!

**მოკლედ, დღე ერთია და ამ ჩვენმა ოპოზიციამ, რომელმაც პარლამენტში ჯდომას ქუჩაში დგომა არჩია, რაიმე ახალი, ხელთუქმნელი და არსმენილი რომ არ გვაჯახოს, არ შეუძლია.**

აი, იმ დღესაც, ნაცების ჯილამ სალომე სამადაშვილმა „რუსთავი-2“-ის ეთერში ახალი რებუსი შემოგვთავაზა. სალომე ოპოზიციის წიაღში საერთოდ გამოირჩევა პოლიტიკური თავსატეხების, კროსვორდებისა თუ ჩაინვორდების თხზვის ნიჭ-უნარით, თანაც ამ უნარს, როგორც წესი, სქლად სცხია შხამი და სამსალა, თანაც ორიგინალური ჟანრის მსახიობივით კეკლუცობს თავისი ამ ნიჭით. ჰოდა, ქეძაფივით შეგვასხა სახეში: **თუ „ქართულ ოცნებასთან“ მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, საარჩევნო ბლოკი „ძალა ერთობაშია“ გაანულებს თავის საარჩევნო სიასო.**

მისივე განმარტებით, არა მხოლოდ პარლამენტში უკვე მოხვედრილი დეპუტატები დატოვებენ მანდატებს, არამედ მათ აღარ ეყოლებათ ადგილმონაცვლეები. ამისთვის თურმე არსებობს შესაბამისი პროცედურები, რომლითაც არჩევნებში გასული დეპუტატები არა მხოლოდ უარს ვიტყვით პარლამენტში შესვლაზე, არამედ ცესკოში წარდგენილი პარტიული სიის განულებით ეს სია აღარ იარსებებსო!

**მოკლედ, მზადდება ახალი ხრიკი: ოპოზიცია არა მხოლოდ უკვე არჩეულ დეპუტატებს ჩამოართმევს მანდატებს, არამედ სიაში მათ შემდეგ მყოფ კანდიდატებსაც დაუკარგავს შესაძლებლობას იმათ ნაცვლად შევიდნენ საკანონმდებლო ორგანოში. ამაზეა ნათქვამი, ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო.**

მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმეა. **მაგალითად, ცესკო განმარტავს, რომ საარჩევნო სიის გაუქმება მხოლოდ მას შემდეგ შეუძლიათ, რაც უფლებამოსილებას ახალი პარლამენტის წევრები მიანიჭებენ, ანუ პარლამენტის I სხდომის გამართვის შემდეგ.**

**ასე და ამგვარად, ოპოზიციური პარტიების ლიდერთა შიში, ვაითუ პარტიის სიაში ჩვენს უკან მყოფმა კანდიდატებმა ყელი გამოგვჭრან და ჩვენ ნაცვლად მოინდომონ პარლამენტში შესვლაო, როგორც ჩანს, აშკარად რეალურია, ამიტომაც აყენებენ ლიდერები (როგორც ჩანს, სალომე სამადაშვილის ეს „რაციონალიზატორული“ წინადადება, სულ წაღმა-უკუღმა განხილულ-შეჯერებულია შეთქმულთა წრეში) „კუდების მოჭრის“ იდეას — ჩვენ შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო!**

**ოპოზიციის ახალი „ნოუ პაუ“**

**სანდრო ალექსიძე**

---

# ნათელაშვილი „ახალ არჩევნებს“ ელოდება

**ველოდებით ივანიშვილისგან ახალი არჩევნების თარიღს და მხოლოდ ამ თემაზე შეიძლება იყოს კონსულტაციები,** — ამის შესახებ „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩებთან შეხვედრაზე შესვლამდე განაცხადა.

**„მეგობარ ელჩთა ძალისხმევით გრძელდება კონსულტაციები ქვეყნის ღრმა პოლიტიკური კრიზისიდან გამოსაყვანად, სადაც ის შეიყვანა ხელისუფლებამ არჩევნების გაყალბებითა და ძალაუფლების უზურპაციით. ოპოზიციურ პარტიებს ხელი გვაქვს მოწერილი დეკლარაციაზე, რომლის თანახმადაც არ ვაპირებთ ამ გზით შეთითხნილ პარლამენტში შესვლას და ვითხოვთ ხელახალ არჩევნებს. შესაბამისად, ველოდებით ივანიშვილისგან ახალი არჩევნების თარიღს და მხოლოდ ამ თემაზე შეიძლება იყოს კონსულტაციები“,** — განაცხადა ნათელაშვილმა.



ამერიკისა და ევროკავშირის ელჩები ბარიერგადალახულ ოპოზიციურ პარტიებს შეხვდნენ. შეხვედრა კელი დეგნანის რეზიდენციაში ინდივიდუალურ რეჟიმში მიმდინარეობდა. მმართველი გუნდი ოპოზიციასთან მოლაპარაკებებს აშშ-ის ელჩის რეზიდენციაში 12 ნოემბრიდან მართავს. დიალოგის მესამე რაუნდის თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

# ქართველო ექსპერტებო!, ეს სიფრთხილე კი არა, სიდედლეა!



**მთიანი ყარაბაღის გარშემო ბოლო ხანს განვითარებული მოვლენების და იქ რუსეთის როლის გაძლიერების კონტექსტში, ევროპაში აშშ-ის არმიის ყოფილი მთავარსარდალი აუცილებლად მიიჩნევს საქართველოში ნატოს ყოფნის გაძლიერებას, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ინფრასტრუქტურის ჩათვლით. ბენ ჰოჯესი „ეუობზერვერ“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში წერს, რომ უნდა გაუგზავნონ საქართველოს მოსაწვევი ნატოში დაუყოვნებლივ გაწევრიანების შესახებ.**

**შეგახსენებთ, რომ აშშ-ის არმიის ყოფილი მთავარსარდალი აცხადებდა, რომ ნატომ მომავალ სამიტზე საქართველო ალიანსში უნდა მიიწვიოს. სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის სამხედრო პოზიციების გაძლიერება, ჰოჯესის თქმით, შეაგნებინებს რუსეთს, რომ ეს რეგიონი მათთვის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს. როგორი იქნება ნატოს შემდეგი სამიტის გადაწყვეტილება, ამ ეტაპზე უცნობია, მაგრამ საქართველოში უკვე დაიწყო დისკუსია ამერიკული ბაზების განთავსებასთან დაკავშირებით.**

## ამერიკული ბაზების საქართველოში განლაგება არის დიდი ხიფათის შემცველი, მეორე მხრივ, არის უზარმაზარი ბონუსის მომტანი“

ეს საკითხი აქტუალური აშშ-ის სახელმწიფო მდივან **მაიკ პომპეოს** საქართველოში ორდღიანი ვიზიტის შემდეგ გახდა. პომპეოს ვიზიტი ვაშინგტონის გეგმებს უკავშირდება სამხრეთ კავკასიაში სამხედრო ყოფნის გაძლიერების შესახებ. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს: **„ჩვენ გვინდა კიდევ უფრო მეტად დაახლოება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ჩვენ გვინდა აშშ-ის მუდმივი ყოფნა საქართველოში. რა თქმა უნდა, მე ღიად ვერ ვისაუბრებ ამის შესახებ, გასაგები მიზეზების გამო“,** — განაცხადა **დავით ზალკალიანმა**.

ამერიკელი დიპლომატი, უკრაინაში აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი სპეციალური წარმომადგენლი და ნატოში ყოფილი წარმომადგენელი **კურტ ვოლკერი** არ ფიქრობს, რომ მალე მოხდეს საქართველოში ამერიკული ბაზის შექმნა, მაგრამ მიესალმება საკითხის გარშემო დისკუსიის დაწყებას.

**„აშშ არსებით სამხედრო განლაგებას სადაც გადაწყვეტს, დამოკიდებული იქნება აშშ-ის სამხედრო მოთხოვნილებებზე, რამდენად აქვს აზრი, რომ აშშ-მა საქართველოში მუდმივად ყოფნა გადაწყვიტოს. როგორც იცით, აშშ გერმანიიდან გამოიყვანს ზოგ ძალებს, ასევე, გამოიყვანს ავღანეთიდან, შუა აღმოსავლეთიდან. ამასთანავე, აშშ-ში, კოვიდ 19-ის გამო ეკონომიკური აღდგენის ძალისხმევის შედეგად მნიშვნელოვანი საბიუჯეტო ზეწოლის ქვეშ ვიმყოფებით, შესაბამისად, უახლოეს მომავალში მსგავსი ახალი ნაბიჯებისთვის ბევრი თანხები არ იქნება. შესაბამისად, ვფიქრობ, სხვადასხვა მიზეზის გამო ასეთი რამის რეალურად მოხდენისთვის შესაბამისი დრო არ არის, თუმცა ამის წინ წამოწევა და დისკუსიის თემად ქცევა მისასალმებელი ინიციატივაა“,** — აღნიშნა **კურტ ვოლკერმა**.

საქართველოში ამერიკული ბაზების განთავსების მნიშვნელობაზე საუბრობენ ანალიტიკოსები. ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** იხსენებს 1918-21 წლებს, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე იდგნენ ბრიტანული სამხედროები, თუმცა ბრიტანულმა სამხედროებმა საქართველოს ტერიტორია დატოვეს სწორედ მაშინ, როდესაც სახეზე იყო წინასაანექსიო პერიოდი. მისი თქმით, ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურს და ხელისუფლებას გააჩნდა ინფორმაცია, რომ იგეგმებოდა საქართველოს ანექსია.

**„მე ვფიქრობ, რომ ამერიკელი საჯარისო დანაყოფების საქართველოში ყოფნა ხელს შეუწყობს საქართველოს სუვერენიტეტის გამყარებას და საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას. მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ არ დაზიანდეს ის სამხედრო და პოლიტიკური ინტერესი, რომელმაც შესაძლებელია შეიწიროს ქვეყნის სუვერენიტეტი, ან გარკვეული სახის ახალი ტერიტორიული რღვევა გვქონდეს სახეზე. თუ ეს მოხდება ამ პირობების დაცვით, ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის ქვეყანაში ამერიკული სამხედრო ბაზის გახსნა“,** — აცხადებს **დავით კუხალაშვილი**.

ქვეყანაში ამერიკული სამხედრო ბაზის გახსნის შესახებ დაწყებულმა დისკუსიამ რა გავლენა შეიძლება იქონიოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, მაშინ როდესაც ჩვენს ყოველდღიურობაში ვაკვირდებით მცოცავ ანექსიას, კუხალაშვილი ამბობს, რომ რუსეთის სამხედრო კონცეფციაში პირდაპირ განიხილება ასეთი დაახლოება და ასეთი ქმედებების განვითარება მასთან ახლოს მყოფ რეგიონში, როგორც მტრული ქმედება.

**„აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ კიდევ უფრო დაძაბოს საქართველოსთან დამოკიდებულება. ვფიქრობ, რომ რუსეთის ფედერაციას ამის საკმაოდ კარგი ბერკეტები აქვს. თუ ბოლო მოვლენებს განვიხილავთ, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, პრაქტიკულად, ეს არის საბოტაჟური მოქმედებები არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ვფიქრობ, გარკვეული საყრდენები რუსეთის ფედერაციას ამისთვის გააჩნია“.**

თუ პრეცედენტზე არის საუბარი, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ამბობს, რომ ყველაზე ოპტიმალური პრეცედენტი არის კანადური კონტინგენტის განლაგება, როგორც ეს იყო ბალტიის სახელმწიფოებში და პოლონეთში, რომლებიც დღეს რუსეთის სამხედრო აგრესიის პირდაპირი ობიექტია. მაგრამ როგორც მაისაია აცხადებს, კანადური კონტინგენტი პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნებში მოქმედებდა ნატოს მე-5 მუხლის გათვალისწინებული კონტექსტით.

**„ნატოს სამიტზე ითქვა, რომ რუსეთი საფრთხეს უქმნის პოლონეთს და ბალტიის ქვეყნებს და ამიტომ, ნატოს ხელმძღვანელობამ აამოქმედა ნატოს კოლექტიური თავდაცვის პრინციპი და ამის საფუძველზე მოხდა ამერიკული კონტინგენტის განლაგება პოლონეთის და ბალტიის ქვეყნებში. ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში ნატოს კოლექტიური თავდაცვა ვერ იმოქმედებს, იმიტომ, რომ ჯერ ჩვენ არ ვართ ამ გაერთიანების წევრი. ამიტომ, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, ამერიკამ მოგვანიჭოს არანატოს მოკავშირის სტატუსი, ჩვენ გავაფორმოთ ხელშეკრულება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ და ამის საფუძველზეც შესაძლებელია ამერიკული კონტინგენტის განლაგება.**

**ამერიკული კონტინგენტის განლაგება საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტია, რამდენად ხედავენ ისინი გაძლიერებულ საფრთხეს რუსეთის ფედერაციისაგან. ამის გათვალისწინებით უნდა მომზადდეს სამართლებრივი საფუძველი“,** — აცხადებს **ვახტანგ მაისაია**.

სტრატეგიული კვლევების სტრატეგიული ცენტრის ხელმძღვანელი **მამუკა არეშიძე** თვლის, რომ ამერიკის სამხედრო ბაზის გახსნა ყოველდღე არის შესაძლებელი და უახლოეს ათ წელიწადში შეიძლება არ მოხდეს. ყველაფერი დამოკიდებულია და გამომდინარეობს რეგიონალური სიტუაციიდან, რადგან, მისი თქმით, ანალიზი იმისა, რა და როგორი ტიპის ცვლილებები მოხდა რეგიონში, საჯაროდ ჯერ არ გაკეთებულა.

**„ჩვენ მიერ გაკეთებული ანალიზი და შეფასება, ეს არ არის მთავარი. მთავარია შესაბამისი ანალიტიკური ცენტრების მიერ გაკეთებული ანალიზი და მერე უკვე შეფასება ხელისუფლების, პირველ რიგში ამერიკის ხელისუფლების და ნატოს ხელმძღვანელობის რეკომენდაციები. ამ რეკომენდაციებიდან გამომდინარე, გადაწყდება ეს საკითხი, რამდენად ხიფათის შემცველია გეოპოლიტიკური ცვლილებები დიდი კავკასიის სივრცეში.**

**ჩვენ ყველამ ვიცით, რომ შავი ზღვა არის ნატოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური სივრცე. შავი ზღვის ნაპირზე განლაგებულია ნატოს წევრი სამი ქვეყანა, თუმცა ერთ-ერთი მათგანი, თურქეთი თამაშობს ინდივიდუალურ თამაშებს, იქამდე მიიყვანა საქმე, რომ სენატში შეტანილია კანონპროექტი თურქეთის ნატოდან გარიცხვის თაობაზე. ნატოს აქტივობა არა მარტო შავი ზღვის და ხმელთაშუაზღვის აკვატორიაში, არამედ კავკასიაშიც, გარკვეულწილად, პრობლემური გახდა, სირია ხომ თავისთავად პრობლემატური გახდა დასავლეთისთვის და მათ შორის ნატოსთვის. ეს კომპონენტები იძლევა იმ ანალიზის პასუხებს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ“,** — აცხადებს არეშიძე.

მისი თქმით, თუ დასავლეთი ჩათვლის, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თავისი მოკავშირეების გაძლიერება და იქ სამხედრო ბაზების განლაგება, როგორიც არის საუდის არაბეთში, კუვეიტში და სხვაგან, მაშინ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს. როგორც არეშიძე აცხადებს, მხოლოდ საქართველოს ინტერესებისთვის არავინ არაფერს გააკეთებს.

**„ამერიკული ბაზების აქ განლაგება არის უზარმაზარი ხიფათის შემცველი, ხოლო მეორე მხრივ არის უზარმაზარი ბონუსის მომტანი. ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსია ისიც, რომ შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული საინტერესო იყოს რუსეთთან გარკვეულ თემებზე დიალოგის შექმნა. ამ ფონზე მნიშვნელოვანია თურქეთის და ირანის აქტიურობა სამხრეთ კავკასიაში და მათი აქტიურობის შეზღუდვა. მოსკოვში კარგად ესმით, რომ ამერიკას შავი ზღვისპირეთში საქართველოს გარდა დასაყრდენი არ ჰყავს. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მათ ინტერესებშიც შედიოდეს საქართველოს მხარესთან საუბარი“,** — აღნიშნა **მამუკა არეშიძემ**.

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

# „დონალდ კუკი“ შავ ზღვაში შემოვიდა




საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდ „დონალდ კუკის“ შავ ზღვაში შემოსვლას ეხმაურება.

**„საქართველო მიესალმება აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდ „დონალდ კუკის“ შემოსვლას. აშშ-ისა და ნატოს გაძლიერებული ყოფნა შავ ზღვაში აძლიერებს რეგონულ მშვიდობასა და უსაფრთხოებას“,** — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს twitter-ის გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში. აღნიშნულ ფაქტს ასევე გამოეხმაურა საქართველოში აშშ-ის საელჩო და ხომალდ „დონალდ კუკის“ მეთაური კელი ჯოუნსი.

**„შავ ზღვაში ოპერირება რეგიონში ჩვენი პარტნიორებისა და მოკავშირეებისადმი ერთგულების მანიშნებელია“,** — აღნიშნა კელი ჯოუნსმა. ხომალდი „დონალდ კუკი“ საქართველოს საზღვაო სივრცეში ორჯერ იმყოფებოდა, ბოლო ვიზიტი 2019 წელს განხორციელდა.

**საქართველოში უკვე კორონავირუსით ინფიცირების 114 889 შემთხვევაა დადასტურებული. გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა 95 581-ს შეადგენს. გარდაიცვალა 1 085 მოქალაქე!!!**

# როდესაც ადამიანს კორონავირუსი აქვს და სახლში არ იკეტება, ეს უკვე კრიმინალია!

**ვირუსი სხვა ადამიანზე გადაცემის დროს ძლიერდება, უფრო გამოცდილი ხდება და ადვილად ებრძვის შემდგომი მსხვერპლის იმუნიტეტს, — აცხადებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინფექციონისტი, გასტროენტეროლოგი ირაკლი ხმალაძე.**



**— ოპოზიცია კორონავირუსთან ბრძოლის არაეფექტურობაზე საუბრობს. თქვენი აზრით, რა ხარვეზები გამოვლინდა ჯანდაცვის სისტემაში მომატებული მიმართვიანობის პირობებში?**

— რამდენიმე დღის წინ მინისტრის გამოსვლა იყო, რომელმაც აღნიშნა, რომ დაახლოებით 500 საწოლი კიდევ თავისუფალია და ხელოვნური სუნთქვის აპარატის პრობლემა არ გვაქვს. უბრალოდ, არის ძალიან ბევრი პაციენტი, რომელთა განაწილებაც ძალიან რთულია, კლინიკები გადავსებულია, განსაკუთრებით, ეს თბილისს ეხება. კოვიდი დავარქვით ამ ინფექციას და ყველა პანიკაში ვარდება, როგორც კი მის სახელს გაიგონებს. ჩავთვალოთ, რომ ეს არის გრიპი, რომელიც მასობრივად მოედო მოსახლეობას. შესაბამისად, ადამიანებმა, რომელთაც არც სიცხე აქვთ, არც განსაკუთრებული ჩივილები, შეუძლიათ მოიხადონ ეს ვირუსი სახლში. მთავარია, არ მოაკლდეს ყურადღება მძიმე პაციენტებს და დროულად მოხდეს მათი გადაყვანა სტაციონარში, თუკი მდგომარეობა დამძიმდა.

**— დამძიმებამდე რომ არ მივიდეს საქმე, ერთ-ერთ შესაძლებლობად განიხილება „ლოკდაუნი", ანუ ჩაკეტვა!..**

— განსაკუთრებული ჩაკეტვები გამოიწვევს ქვეყნის კოლაფსს, ექიმი ვარ, ჩემთან პაციენტი რომ მოდის და მას ხელფასი არ აქვს, ელემენტარულად, წამლის ფული არ ექნება, მე როგორ უნდა ვუშველო და ვუმკურნალო. ამდენად, განსაკუთრებული ჩაკეტვა, ალბათ, არ გვარგებს, რადგან ეს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას დააწვება. რაც უფრო ჩაკეტავ ადამიანს, ის ისედაც დატვირთულია ემოციისგან და სტრესისგან, ზოგიერთებს ჯერ მარტო პირბადის გამოყენებაც უჭირთ. მე პირადად მიჭირს მთელი დღე პირბადით სიარული, არის ხალხი, რომელთაც სუნთქვის უკმარისობა აქვთ და ვერ იტანენ პირბადეს. ამ დროს ადამიანს თვითონ ცხოვრება და სიტუაცია აიძულებს, პირბადე გაიკეთოს. ამას რომ დაემატება ეკონომიკური შეზღუდვები და ეკონომიკური პრობლემები, ეს ცუდ რეაქციას გამოიწვევს. თვითონ ის ადამიანებიც, რომლებიც ავად არიან, უფრო მეტად დამძიმდებიან, თუ მათ სტრესი არ მოვუხსენით.

**— თვით ინფექციონისტებშიც აზრი იყოფა, მათი ნაწილი ამბობს, რომ ორკვირიანი შეზღუდვები ამოასუნთქებდა ჯანდაცვის სისტემას.**

— უკვე შიგნით გვაქვს კლასტერები ანუ, წყაროები. გარედან არავინ არ ჩამოდის და არავის არ ჩამოაქვს ეს ვირუსი, ახალი კლასტერიც კი არ იქმნება. ადამიანებს თუ ჩავკეტავთ, მაშინ ყველა უნდა დაჯდეს სახლში და ვინმემ მიუტანოს საჭმელი. ბაზრობა თუ ჩაიკეტება, იმ ხალხის მასას რა ეშველება, ვინც იქ ყოველდღიურად 3-4 ლარზე მუშაობს? მაშინ იმ ადამიანებსაც უნდა მივუტანოთ საჭმელი, სასმელი, მედიკამენტები. მაგალითად, ზოგიერთი ისეთი მედიკამენტიც არსებობს, რომელიც ასობით ლარი ღირს, ან, თუ ასობით არა, 50-60 ლარი მაინც ღირს, იმ ხალხს რას ვუშვრებით? ჩაკეტვა ძალიან კარგია, მაგრამ რა რეაქცია ექნებათ ადამიანებს, რომელთაც გარეთ გამოსვლას უკრძალავ და მატერიალურ პრობლემების წინაშე ტოვებ მარტო? ეს თუ მოგვარდება, რომ ადამიანს ეკონომიკური პრობლემა არ შეექმნება, მაშინ, კი ბატონო, ჩავკეტოთ.

**— ჟანგბადის მიწოდება ბინაზე რამდენად შესაძლებელია და შეიძლება თუ არა მძიმე პაციენტების სახლში მკურნალობა, თუკი საავადმყოფოში მათი ადგილი აღარ არის?**

— მთავარი ის კი არაა, პაციენტს ჟანგბადს მივაწვდით თუ არა, მთავარია, ავადმყოფს გვერდში ჰყავდეს ექიმი, რომელმაც უნდა გადაუწყვიტოს, პაციენტს ჟანგბადი სჭირდება თუ არა. ყველაზე მეტი დეფიციტი უკვე პროფესიონალი ექიმებია. პაციენტს თუ ჟანგბადი სჭირდება, ის სტაციონარში უნდა იყოს, ან მაშინ უნდა გაკეთდეს კარვები, როგორც ხდებოდა ადრე, ეპიდემიოლოგიურად მძიმე მდგომარეობის დროს, და ექიმის გარეშე არ უნდა ხდებოდეს ჰაერის უკმარისობის მქონე პაციენტის მკურნალობა. თუ პაციენტს არ აქვს სიცოცხლისთვის შეუთავსებელი პრობლემები, ის ბინაზე უნდა მკურნალობდეს. გრიპი ახლა უმეტესობას ემართება და კლავს კიდეც ადამიანებს და უფრო მეტი გადარჩება ხოლმე. ისპანკამ 20 მილიონი ადამიანი შეიწირა. თუ იწყება სუნთქვის უკმარისობა, იქ არის პნევმონია, მაშინ კეთილი უნდა ინებოს სახელმწიფომ, რომ ექიმს შეეძლოს ამ პაციენტთან მისვლა არა დღეგამოშვებით, არამედ ყოველდღიურად, ყოველთვიურად უნდა მოხდეს ფილტვების კორეგირება და, თუ მდგომარეობა დამძიმდება, პაციენტს უნდა შეეძლოს, გამოიძახოს ექიმი და დროზე მივიდეს საავადმყოფოში. ასე თუ არ მოხდა, არ მიმაჩნია სწორად, მარტო ჟანგბადი მიუტანო პაციენტს, რომელსაც სუნთქვის უკმარისობა აღენიშნება.



**— არის მოსაზრება, რომ კორონა უფრო აგრესიული გახდა, ადამიანი კარგავს კონცენტრაციას, მეხსიერებას, ორიენტაციას, რადგან ეს ვირუსი ტვინზე ახდენს გავლენას...**

— კი ბატონო, მე ეს ჯერ კიდევ მაშინ ვთქვი, როცა დაიწყო ამ ვირუსის გავრცელება და თბილისში 2-3 შემთხვევა აღირიცხა. მაშინ განვაცხადე, თუ არ მოხდა ამის იზოლირება და, თუ მოხდა გავრცელება, ბევრი შემთხვევა დადასტურდა, ამას ჰქვია ვირუსის პასაჟირება. ვირუსი რაც უფრო მეტ პაციენტს დაემართება, სხვა ადამიანზე გადაცემის დროს ის ძლიერდება, უფრო გამოცდილი ხდება და ადვილად ებრძვის შემდგომი მსხვერპლის იმუნიტეტს. ამიტომაა ამდენი სიკვდილიანობა და მძიმე შემთხვევები. ამიტომ ბინაზე პაციენტის დატოვება და ჟანგბადის მიტანა, რომელსაც სუნთქვის უკმარისობა აქვს, არ შეიძლება.

**— ცალკეულ დაწესებულებებში არის კოვიდის დადასტურების შემთხვევები, მაგრამ ამის მიუხედავად, ეს დაწესებულებები ჩაკეტვას არ აპირებენ. ეს დასაშვებია?**

— კომუნისტების დროს მახსოვს, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს პოლიცია დასდევდა და ძალით მიჰყავდათ სპეციალურ ვენეროლოგიურ განყოფილებაში, სადაც მათი გამოკვლევა ხდებოდა. თუ მათ ჰქონდათ ვენერიული დაავადება, ჩაკეტავდნენ და ძალით მკურნალობდნენ.

ეს უკვე კრიმინალია, როდესაც ადამიანს ინფექცია აქვს და ის არ იკეტება. ყოველ შემთხვევაში, ერთი ინფიცირებული ადამიანიც კი გარეთ რომ გავიდეს, გეომეტრიული პროგრესიით გავრცელდება ეს დაავადება.

**— როდის ვარაუდობთ პიკის გადავლას?**

— იმედი მქონდა, ზაფხულში, სიცივეები რომ არ იქნებოდა, მაღალ ტემპერატურაზე ვირუსი აღარ გავრცელდებოდა. პირიქით მოხდა, ვირუსი უფრო გააქტიურდა. ამიტომ სანამ ვაქცინა არ შემოვა, ამ მდგომარეობაში ვიქნებით. უბრალოდ, თუ ვაქცინა არ გვექნება, მაშინ ყველა მოიხდის ამ ვირუსს, ან, სამწუხაროდ, ვერ მოიხდის...

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

## სადაც ხალხი იკრიბება და წესებს არ იცავს, ყველას მიუძლვის ბრალი

**„ხშირად მეკითხებიან, იქონია თუ არა უარყოფითი გავლენა ეპიდვითარებაზე საპროტესტო აქციებმა. გაზაფხულზე მსგავსი კითხვები ეკლესიას ეხებოდა. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს — სადაც ხალხი იკრიბება და არ იცავს არანაირ წესებს, არ ატარებს პირბადეს და არ იცავს დისტანციას — ყველას მიუძღვის ბრალი. რესტორანში რომ ქეიფები იყო და 300-400-კაციანი ქორწილები ტარდებოდა, შემდეგ ქუჩის საპროტესტო აქციები — ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ყველასთან დაკავშირებით ერთნაირად და გასაგებად ვამბობ — თუ სადმე ბევრი ხალხი იკრიბება და წესს არავინ იცავს, ეს არის პრობლემა",** — ამის შესახებ „რუსთავი 2"-ის ეთერში დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორის მოადგილემ პაატა იმნაძემ განაცხადა.



## ვისწავლოთ ერთმანეთის მოვლა!

**„ჩვენს ქვეყანაში ინფიცირებულების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა, ამის უამრავი მიზეზი არსებობს, მტყუან-მართლის გარჩევაზე ამ ეტაპზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. დადგება მომენტი, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რაც შეიძლება ნაკლები ინფიცირებული გვყავდეს ქვეყანაში.**

**მე მესმის დღევანდელი ყოფა-ცხოვრების, მაგრამ სიცოცხლეზე ძვირფასი კაცობრიობას არაფერი შეუქმნია, ამიტომ ყველას სიცოცხლე უნდა გადარჩეს და გადავარჩინოთ. ყველამ ერთად, მთელმა საზოგადოებამ, ერმა, ბერმა ერთად უნდა გავაკეთოთ, რომ თავი დავიცვათ. ეს მომდევნო ორი კვირა მაინც, როცა პიკი იქნება, თავი შევიკავოთ ერთმანეთთან ურთიერთობისგან, ყველანაირ მიგრაციაზე, დედაშვილურზეც, რომ დედაც კარგად გვყავდეს და შვილებიც",** — განაცხადა პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ხელმძღვანელმა ლევან რატიანმა.



## დაინფიცირებულია მეტროს 20-მდე მემანქანე

**თბილისის მეტროს 20-მდე მემანქანე კორონავირუსით დაინფიცირდა. ინფორმაციას თბილისის სატრანსპორტო კომპანია ადასტურებს.**

მათი ცნობით, მეტროში დასაქმებულია 220 მემანქანე, შესაბამისად მეტროს მუშაობას საფრთხე არ ემუქრება.

„ზოგადად, კომპანიას აქვს ხელშეკრულება კონტრაქტორ კომპანიასთან, რომელიც ჩვენს თანამშრომლებს, რომლებსაც აღმოაჩნდებათ სიმპტომი, უტარებს ტესტირებას, რომელიც მოიცავს როგორც პისიარ, ისე ერთჯერად ტესტს.




მათ დაინფიცირებას სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას ვერ დავუკავშირებთ, ვინაიდან მემანქანის კაბინა არის იზოლირებული მგზავრებისგან, შესაბამისად, მათ მგზავრთან არანაირი შეხება არ აქვთ. საიდან არიან დაინფიცირებულები, ზუსტად არ ვიცით", — განაცხადა კომპანიის მედიასთან ურთიერთობის მენეჯერმა თამაზ რობაქიძემ.

# ადამიანი იმდენად საშინელი შეთქმულების პირისპირ დგას, რომ უარს ამბობს, დაიჯეროს მისი არსებობა




## 5. კორონავაქცინის და ვაქცინაციის შესახებ

**„თუკი ხალხი იმის ნებას იძლევა, რომ ხელისუფლებამ გადაწყვიტოს, თუ რა ჭამონ მათ და რა წამლები მიიღონ, მაშინ ხალხი ისეთივე ავადმყოფი გახდება მალევე, როგორიც მისი ხელისუფლებაა“!**

**თომას ჯეფერსონი,**
**ამერიკის მესამე პრეზიდენტი**

ყველასთვის ცნობილია წამლების შემოწმების უმარტივესი წესი. ავადმყოფების ერთ ჯგუფს ეძლევა გამოსაცდელი წამალი, ხოლო მეორეს — ე.წ. პლაცებო, ანუ წამლის ფორმის მქონე აბსოლუტურად უვნებელი, ნეიტრალური ნივთიერება. მხოლოდ ხანგრძლივი და მრავალჯერადი დაკვირვების შემდეგ, მიღებული ეფექტის (სათანადო ანალიზებით გამყარებული!) და განვითარებული გვერდითი მოვლენების მათემატიკურად დამუშავების შემდეგ ხდება დასკვნის გამოტანა, მათი სამკურნალწამლოდ დაშვება-არდაშვება სააფთიაქო ქსელში. რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ეს მეთოდი არ გამოიყენება ვაქცინების მიმართ. რატომ, ზედმეტია? ვაქცინების შესახებ ბევრჯერ გვისაუბრია, მაგრამ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით, დღეს — კორონაპანდემიის გათვალისწინებით, ისევ მოგახსენებთ.

**არცერთი მოვლენის შესახებ არ შეიძლება გადაჭრით რაიმეს მტკიცება, თუკი ის არ იზომება ან არ გაზომილა.** მით უფრო, არ შეიძლება ისეთი მეთოდების, სამკურნალო საშუალებების თუ ღონისძიებების დაკანონება (!), თუკი არ მომხდარა მათი მეცნიერული შესწავლა, არ ჩატარებულა შედარებითი სტატისტიკური ანალიზი და ციფრებში (!) არ ასახულა ეფექტურობის და უსაფრთხოების ხარისხი. ეს მეცნიერების ანბანია!

როდესაც კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაზე საუბრობენ, მსოფლიოს წამყვანი ვირუსოლოგები და ეპიდემიოლოგები განგაშს ტეხენ იმის გამო, რომ **ექვს თვეში არაფრით არ შეიძლება ახალი ვაქცინის გამოშვება და, მით უმეტეს, მასობრივი ვაქცინაციის წამოწყება.** როცა ვაქცინას ეფექტურობაზე და უსაფრთხოებაზე შემოწმების სამივე ფაზა გავლილი არა აქვს, მასობრივი ვაქცინაციის წამოწყება დაუშვებელია! ეფექტურობის და უსაფრთხოების დადგენა, მინიმუმ, 4-5 წელიწადს საჭიროებს, ხოლო შორეული გვერდითი მოვლენების შესწავლა — გამრავლება-შობადობაზე და მეორე-მესამე თაობაზე დაკვირვება, 10-15 და 20 წელსაც კი მოითხოვს. ვაქცინების მწარმოებელი სახელმწიფოები (ამერიკა, ინგლისი, რუსეთი და კიდევ რამდენიმე) თავს იმართლებენ იმით, რომ, თითქოს, ძალზე საშიში, საგანგებო მდგომარეობა იყოს მთელ მსოფლიოში, რაც მათ უფლებას აძლევს, გვერდი აუარონ დადგენილ წესებს. უკვე 11 აგვისტოს, პანდემიის გამოცხადებიდან 5 (!) თვეში, რუსეთში დაარეგისტრირეს კიდეც პირველი ვაქცინა — „სპუტნიკ V“, რომელსაც შემოწმების მხოლოდ ორი ფაზა ჰქონდა გავლილი (სამიდან), ანუ იგი არ იყო შემოწმებული ათეულობით ათას ადამიანზე, როგორც ამას საყოველთაოდ მიღებული, აუცილებლად განსახორციელებელი წესი მოითხოვს. ამ ვაქცინის შექმნა, რუსეთის პირველობა(!) თავად **პრეზიდენტმა პუტინმა** დიდი რიხით ამცნო მსოფლიოს, რეკლამის მიზნით კი ისიც განაცხადა, რომ ვაქცინა იმდენად უსაფრთხოა, — „მასობრივი ვაქცინაცია დავიწყეთ და ჩემმა ერთ-ერთ ქალიშვილმაც აიცრაო“! შესაძლოა, ვაქცინაცია მართლაც დაიწყეს რუსეთში, მაგრამ არ დაიჯეროთ, რომ პუტინის ქალიშვილიც აეცრათ. ვაქცინის შემქმნელ, გამალეის სახელობის ინსტიტუტის დირექტორს **ალექსანდრ გინცბურგს** ორი თავი არა აქვს — იგი ვერც აცრის შეთავაზებას გაუბედავდა პრეზიდენტს და, მისი მოთხოვნის შემთხვევაშიც კი აუცილებლად გადაათქმევინებდა — მესამე ფაზა არ გაუვლია ვაქცინას და მის დასრულებას დაველოდოთო, ეტყოდა დამაჯერებლად. შემოწმების სამივე ფაზა-გავლილი ვაქცინაა უამრავი გართულების შემცველი და გამოუცდელს ვინ სულელი უკეთებს საკუთარ შვილს! რა გაუკეთეს და, გაუკეთეს თუ არა სინამდვილეში პრეზიდენტის ქალიშვილს, ეს ორ კაცს თუ ეცოდინება მხოლოდ!

**„ვაქცინის შექმნაში აჩქარებამ შეიძლება აუტოიმუნურ დაავადებამდე მიგვიყვანოს,** რომლის დროსაც იმუნური სისტემა სასტიკად უსწორდება საკუთარ ორგანიზმს“, — აცხადებს თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი, აუტოიმუნურ დაავადებათა ცენტრის დამფუძნებელი **იეგუდა შენფელდი,** რაც მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერების ნაშრომებითაც დასტურდება (ვფიქრობ, მათი გვარების ჩამოთვლა ზედმეტია). ბიოქიმიურ მეცნიერებათა და ტექნოლოგიის მსოფლიო აკადემიის პრეზიდენტის, პროფესორ **ჯუზეპე ტრიტოს** კატეგორიული მოსაზრებით კი „არავითარი **შანსი არ არსებობს იმისა, რომ კოვიდვაქცინა იმუშავებს“!** რატომ?

მთავარი მიზეზი ორია: ჯერ ერთი, როგორც იტალიელი პროფესორი **მონტანარი აცხადებს:** „კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო **ვაქცინის შექმნა შეუძლებელია კორონავირუსის სწრაფად მუტირების გამო.** კორონავირუსი ახალი ინფექცია არ არის, იგი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდანაა ცნობილი და კაცობრიობის 80%-ს უკვე ანტისხეულები აქვს. მაგრამ თავად **კორონავირუსი,** ისევე როგორც ყველა სეზონური, **როგორც გრიპის ვირუსი, ყოველ წელს სხვადასხვაა.** და ის ვირუსი, რომლისგანაც ჩვენი აცრა სურთ, მან უკვე მუტაცია განიცადა და მეტად აღარ გამოჩნდება არასდროს. ყოველ წელს სხვა ვირუსი იმას ნიშნავს, რომ **წლევანდელი ვაქცინა მომავალ წელს არაეფექტური იქნება“.**

მეორეც ის, რომ კოვიდ-19 გადატანილები ძალიან ხანმოკლე იმუნიტეტს გამოიმუშავებენ, ანტისხეულები, უმეტესწილად სამ(!) თვეში ქრება. შეიძლება ეს ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენი ორგანიზმი ყოველ დაავადებაზე მყარ იმუნიტეტს არ ტოვებს, რადგანაც **ჩვენი ორგანიზმი უნიკალური თვითრეგულირებადი(!) სისტემაა,** და მან შესანიშნავად იცის, როდის რა მოიმოქმედოს, ანუ რომელ მიკრობს რა პასუხი გასცეს. საკადრისი პასუხის გასაცემად მას ნაირ-ნაირი სახეობის, სულ სხვადასხვა დანიშნულების მეომრები ჰყავს, მარტივად რომ ვთქვათ, — მებრძოლებიც (ორგანიზმში დაუკითხავად შეჭრილ მტერს მუსრს რომ ავლებენ) და, დამცველებიც — ციხე-ბურჯების — იმუნიტეტის მშენებლები. მაგრამ იმუნიტეტის საშენ მასალას და ენერგიას იგი დაუფიქრებლად და მოუზომავად არ ხარჯავს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე სიმაგრეების აშენებას არ იწყებს (ყველანაირ აგენტზე იგი მყარ იმუნიტეტს რომ გამოიმუშავებდეს, ამას იმუნური სისტემა ვერ გაუძლებს, გამოიფიტება და უბრალო ინფექციაც კი საშიში გახდება ჩვენთვის!), იგი ჩვენზე ბევრად უკეთესად აფასებს დაავადების გამომწვევ მიზეზს (მის სიძლიერეს — ვირულენტობას) და შესაბამის, ოპტიმალურ გადაწყვეტილებას იღებს — გამოიმუშაოს მყარი, სამუდამო იმუნიტეტი, როგორც, მაგალითად, წითელას შემთხვევაში, როცა იმუნიტეტი დედისგან ნაყოფსაც კი გადაეცემა, თუ — არამყარი, ხანმოკლე, როგორც ეს სეზონური ანუ ყოველწლიური გრიპის დროს ხდება. ძალზე საინტერესო ერთი ფაქტი ჩვენი უნიკალური ორგანიზმის გენიალურობის — წითელა, რომელსაც საქართველოში „ბატონებსაც“ ეძახიან, გართულებების გამო ძალიან საშიშა

**კორონავირუსი ახალი ინფექცია არ არის, იგი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდანაა ცნობილი და კაცობრიობის 80%-ს უკვე ანტისხეულები აქვს. მაგრამ თავად კორონავირუსი, ისევე როგორც ყველა სეზონური, როგორც გრიპის ვირუსი, ყოველ წელს სხვადასხვაა. და ის ვირუსი, რომლისგანაც ჩვენი აცრა სურთ, მან უკვე მუტაცია განიცადა და მეტად აღარ გამოჩნდება არასდროს. ყოველ წელს სხვა ვირუსი იმას ნიშნავს, რომ წლევანდელი ვაქცინა მომავალ წელს არაეფექტური იქნება“.**

ერთ წლამდე ბავშვებისთვის, ამიტომაც ზებუნებამ ისეააწყო საქმე, რომ დედიდან ბავშვზე გადასული იმუნიტეტი სამუდამო კი არ არის, მას მხოლოდ ამ აუცილებელი ერთი წლის განმავლობაში ინარჩუნებს ახალ გარემოს, ახალ სამყაროს მოვლენილი პატარა, მაგრამ უკვე გენეტიკურად ჭკვიანი ადამიანი! კოვიდ-19-ის შემთხვევაში კი, ჩვენი ზრდასრული და კიდევ უფრო დაჭკვიანებული ორგანიზმი, უბრალოდ, არ თვლის საჭიროდ მის წინააღმდეგ მყარი იმუნიტეტის გამომუშავებას, თუმცა, იმისდა მიხედვით, თუ რა სიძლიერის მტერთან (ვირუსთან) მოუხდა მას გამკლავება, სხვადასხვა ხანგრძლივობის იმუნიტეტს გამოიმუშავებს (ძლიერ მომხდურს ძლიერად პასუხობს და ამ ბრძოლის კვალიც რჩება, უხშირესად, 3-თვიანი იმუნიტეტის სახით; სუსტი კი, — ვითომც არ ყოფილა!). როგორ გგონიათ, რამე ეშლება? და, გარედან ჩარევით — შეუმოწმებელი და ათასნაირი გართულებების გამომწვევი ვაქცინებით „დახმარება“ ესაჭიროება მას ჩვენგან?

ახლა, მთავარ საკითხს შევეხოთ და მეტი სიცხადისთვის ვიკითხოთ: შესაძლებელია თუ არა ბუნებრივზე უფრო მყარი იმუნიტეტის გამომუშავება ვაქცინაციის გზით? **დღემდე შექმნილი არცერთი ვაქცინა, ყველაზე ეფექტურიც კი, ბუნებრივ (დაავადების შედეგად დატოვებულ) იმუნიტეტზე უფრო მყარ იმუნიტეტს არასოდეს არ იძლევა, რადგანაც ეს თეორიულადაც შეუძლებელია!** ამიტომაც არის, რომ ბავშობაში აცრილი ბავშვები (დიფტერიაზე, წითელაზე, ყივანახველაზე და სხვა) დიდობაშიც საჭიროებენ განმეორებით აცრებს ყოველ 5-10 წელიწადში და მაინც არ არიან გარანტირებულად დაცულები! ჰოდა, კოვიდის ვაქცინა, ვითომ, რატომ იქნება გამონაკლისი? უკეთეს შემთხვევაში, 2-3 თვეს თუ გაჰყვება იმუნიტეტი ადამიანს! აი, რას ამბობს რედინგის (ინგლისი) უნივერსიტეტის ვირუსოლოგიის პროფესორი **იენ ჯონსი:** „კორონავირუსის ვაქცინა საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს, რათა მან იმუნური სისტემის შესამჩნევი(!) რეაქცია გამოიწვიოს, **სხვანაირად რეგულარული ინიექციები გახდება საჭირო** — ეს კი უფრო მეტად დაარწმუნებს აცრების მოწინააღმდეგეებს ვაქცინის უვარგისობაში, არაეფექტურობაში“!

მაგალითად, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა სამი ათეული წელია, რაც გამოიყენება ყოველ წელს, და ყველაზე მეტი აცრა აშშ-ში ხდება, მაგრამ ამის მიუხედავად, **გრიპს 35-80 ათასი ადამიანი ეწირება წლიურად, 2-3-ჯერ მეტი, ვიდრე — კოვიდს... და პანდემიას მაინც არავინ არ აცხადებს!** უამრავი ვირუსოლოგი სწორედ ამიტომაც თვლის, რომ **სეზონური ვირუსული რესპირატორული ინფექციებისთვის ვაქცინა საერთოდ არაა საჭირო!**

როცა ვაქცინებს ახსენებენ, როგორც წესი, მსჯელობენ მის ეფექტურობაზე და უსაფრთხოებაზე. რა თქმა უნდა, ეფექტურობაზე ბევრად მნიშვნელოვანი უსაფრთხოებაა, რადგანაც, მთავარია, რაიმე სერიოზული გართულება არ მოჰყვეს აცრებს, რომლებიც წარმოუდგენლად, 5-ჯერ (!) გაიზარდა ბოლო 35 წელიწადში და მას არნახული გართულებები მოჰყვა, ისეთი დაავადებებიც კი გაჩნდა, რომლებიც მასობრივ ვაქცინაციამდე არ არსებობდა (აუტიზმი, ჩვილ ბავშვთა უეცარი სიკვდილი საწოლში, სტერილობა, ნერვული სისტემის დაზიანებანი და სხვა). ადგილი ჰქონდა მიზანმიმართულ დანაშაულსაც, ჩადენილს ბილ გეიტსის და ჯანმოს მიერ — ინდოეთში, აფრიკაში და სხვაგან (ამაზე აქ არ შევჩერდები, რადგანაც ამის დამადასტურებელი მაგალითები ადრინდელ წერილებში მაქვს მოყვანილი). სწორედ ასეთი „ფილანტროპული“ საქმეების და პლანეტის მოსახლეობის შესამცირებელი გეგმების გამო, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის, პოლიტიკოსმა **სარა კუნიალმა** პარლამენტში გამოსვლისას იტალიის პრეზიდენტისგან **ბილ გეიტსის** საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის გადაცემა მოითხოვა. კენიის კათოლიკ ექიმთა ასოციაციამ კი **ჯანმო** დაადანაშაულა მილიონობით კენიელი ქალის სტერილიზებაში.

რატომღაც თითქმის არ ახსენებენ **ვაქცინაში შემავალ კომპონენტებს.** არადა, სწორედ ეს კომპონენტები განაპირობებენ დიდწილად სერიოზულ გართულებებს. ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ვაქცინები შეიცავენ შხამებს: სინდიყს, ალუმინს, ფორმალდეჰიდს და უამრავ სხვა, 65-მდე (!) უცნობ კომპონენტს და, რომ ვაქცინების წარმოებისას გამოიყენება სხვადასხვა ცხოველის სისხლის შრატი, ღორის შარდი, ადამიანის და ცხოველების აბორტირებული ნაყოფის დნმ-ის ფრაგმენტები, გენმოდიფიცირებული საფუარის და კიბოს უჯრედები, უამრავი ბაქტერია და ვირუსი! მერე გვიკვირს: საიდან ამდენი ავადმყოფობა, ამდენი სიმსივნური დაავადება, განსაკუთ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №155-165

რებით – ბავშვებში! როგორი შესაგუებელია, თუნდაც, მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებების კოქტეილის თოთო ბავშვისთვის შეშხაპუნება, როცა იმაშიც კი არ ხარ დარწმუნებული რომ აცრა ეფექტური იქნება და ბავშვი ავად აღარ გახდება (გარანტიას ხომ არაფერზე არ იძლევიან!). ვაქცინის მწარმოებელი კომპანიები იცით, როგორ „გვამშვიდებენ“? ნუ ღელავთ, ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობა ვაქცინებში ძალზე უმნიშვნელოა, – გვეუბნებიან ისინი, თუმცა კარგად მოეხსენებათ ტოქსიკოლოგიაში მიღებული ფორმულა: 1+1+1 არასდროს არ უდრის 3-ს და, რამდენს უდრის ზუსტად, არავინ იცის! წარმოიდგინეთ, რა შეიძლება მოჰყვეს 65 ნაირ-ნაირი ნივთიერების ურთიერთქმედებას, კარგი არაფერი (შხამები რომ არ იყოს, მაშინ არც შემადგენლობას დამალავდნენ ფარმკომპანიები და ყველა ეჭვს გააქარწყლებდნენ)! თან, ეს ჩვენზე „მზრუნველი“ კომპანიები სპეციალურ ფორმაზე ხელსაც გვაწერინებენ – ნებისმიერი სიმძიმის გართულების, სიკვდილის შემთხვევაშიც კი, ჩვენ პასუხისმგებელი არა ვართო! ამერიკაში ხომ მთლად თავი ქუდში აქვთ, 1986 წლის კანონით ვაქცინის მწარმოებელ კომპანიებს ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოხსნილი აქვთ, კანონით! და, თუ რაიმე მძიმე გართულება ხდება, მშობელმა სპეციალურ სასამართლოს, ე.წ. ვაქცინის სასამართლოს უნდა მიმართოს! სწორედ ამიტომაც, **1986 წლიდან დღემდე აშშ-ში გამოშვებული არცერთი ვაქცინა არ შემოწმებულა არც ეფექტურობაზე და არც – უსაფრთხოებაზე!** დაუჯერებელია, მაგრამ ეს დადასტურდა ნიუ-იორკის სასამართლოს პროცესზე 2020 წელს, როდესაც **რობერტ კენედი უმცროსმა** და სხვებმა, დავა მოუგეს ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრს (CDC), მედიკამენტების და საკვების კომისიას (FDA) და ჯანმრთელობის კვლევის ნაციონალურ ცენტრს (NIH).

ადამიანის ფსიქოლოგიის მცოდნე სატანისტ-გლობალისტებმა კარგად უწყიან, რომ თუკი **შეშინებულ ხალხს იმედის ნაპერწკალს გაუჩენ** და დააიმედებ, რომ სულ მალე, წლის ბოლოსთვის ან ახალი წლის დასაწყისისთვის მაინც, კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა მზად იქნება და ყველას გვეშველება, ყველანი შვებით ამოვისუნთქავთ, ოღონდ, გაგებით უნდა მოეკიდოთ იმას, რომ პანდემიით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის გამო, ვაქცინის შექმნას ძალიან ვჩქარობთ და ამიტომ ვერც მის ეფექტურობაზე დავდებთ თავს (თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ხელოვნური იმუნიტეტი) და ვერც – უსაფრთხოებაზე, ამათ შესწავლას წლები სჭირდება, მინიმუმ, – 4-5 და 10-15-იც კი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამდენის მოცდის საშუალება არა გვაქვს და, თუ ვაქცინაციას რაიმე სერიოზული გართულება მოჰყვება (მაგალითად, ისეთი, როგორიც შვედურ-ბრიტანული ფარმკომპანიის – **Astra-Zeneka**-ს ვაქცინის გამოცდას(!) მოჰყვა, როცა ორი მოხალისე ქალი დადამბლავდა ბრიტანეთში, ერთი ახალგაზრდა კაცი კი ბრაზილიაში გარდაიცვალა! ფარმაკოლოგიურმა კონცერნმა – **Johnson & Johnson**-მა ვაქცინის გამოცდა შეწყვიტა, როცა ერთ-ერთი აცრილი **დაუდგენელი** ავადმყოფობით მძიმედ დაავადდა!), პრეტენზიები ნუ გექნებათო. ისე კი, რომ იცოდეთ, პანდემიის დროს წამლები და ვაქცინები სათანადო შემოწმებას არ ექვემდებარებიან და მაშინვე შეიძლება მათი გამოყენებაცო. **აი, თურმე, კიდევ რატომ ყოფილა აუცილებელი პანდემიის გამოცხადება!**

ხელისუფლება (ყველგან) ვითომ ჩვენს უფლებებს პატივს სცემს და იცავს კიდეც, როცა გვეუბნება, რომ, მართალია, სასურველია, ყველამ აიცრათ, მაგრამ თქვენს კონსტიტუციურ უფლებებს არ შევეხებით, – ვაქცინაცია ნებაყოფლობითი იქნებაო. ოღონდ, საყოველთაო **იმუნოლოგიური პასპორტი** შემომაქვს ხმარებაში და თქვენს შვილს, თუ აუცრელი იქნება, ვერც ბაღში მივიღებ, ვერც სკოლაში და ვერც უმაღლესშიო, თავად შენ კი თვითმფრინავში ვერ ჩაგსვამთ და შეიძლება, სამსახურიდანაც გაგანთავისუფლოთ, სამუშაო ადგილს გააჩნია (მაგალითად, სამედიცინო დაწესებულებაში, კვების მრეწველობაში, ბაგა-ბაღ-სკოლა-ინსტიტუტში...), მოკლედ და გასაგებად – ყველა სფეროში, სადაც ადამიანებთან კონტაქტია გათვალისწინებულიო! ამაზე მეტად როგორღა უნდა დაიცვას „დემოკრატიულმა“ სახელმწიფომ თავისი მოქალაქეების უფლებები! არ უნდა ჩამოვრჩეთ, ჩვენც უნდა მივბაძოთ აუცილებლად!



**იაკობ ლეჟავა,**

(ტელ: 593-55-04-00)

(გაგრძელება იქნება)

# კაჭკაჭი და ხელახლა მოგონილი ანბანი - ქართველების ამბები ფერეიდნიდან



**„საკვანძო სიტყვა – ფერეიდანი“ – დიანა ანფიმიადის ეს წიგნი მალე სტამბაში წავა. მასში ფერეიდნული ამბებია თავმოყრილი – იქაური მარტყოფის, იქაური ვაშლოვნის, ოთხასწლიანი დარდისა და მონატრების ამბები, ორასი გვერდი შუა ირანში დაარსებულ საქართველოზე.**




ფერეიდანში დღესაც იმ ქართულით ლაპარაკობენ, რომელზეც მეფე თეიმურაზი და ქეთევანი საუბრობდნენ. 400 წლის წინათ შაჰ აბასის მიერ გადასახლებულმა 200 ათასამდე ქართველმა შუაგულ ირანში დროის კაფსულა შექმნეს. ენათმეცნიერების ინსტიტუტი 2004 წლიდან მუშაობს პროექტზე „ქართული ენობრივი კუნძული ტრანსეთნიკურ არეალში (GLITEA)“, რაც ფერეიდნის სამეტყველო ენის შესწავლასაც გულისხმობს. უკვე გამოიცა მონოგრაფია „ფერეიდნული დიალექტი“ და გამოკვლევა „ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში“.

ფერეიდანში თოვლი „ბელტ-ბელტად“ მოდის; საქმის დასრულებისას ამბობენ, გავათავთავეო; კატას ისევ ციცა ჰქვია, ძაღლი „ღრინავს“, ქათამი „კრასკრასებს“, ხოლო თუ ვინმემ თქვა, ემასაო ათი ბღავანა ჰყაო, ესე იგი, ის ვილაცა ათი ცხვრის პატრონია.

**„სხვებისგან განსხვავებით, თუნდაც ინგილოებისგან ან თურქეთში მცხოვრები ქართველებისგან, ფერეიდანმა ძველი ენა შემოინახა, რადგან გარშემო ირანია და თანამედროვე ქართულთან შეხება არ ჰქონდა. ახლა ბავშვებმა ცუდად იციან ქართული, მაგრამ მაინც ცდილობენ ისწავლონ“,** – ამბობს პროექტის მონაწილე დიანა ანფიმიადი, რომელმაც ფერეიდნიდან ჩამოტანილი ამბები შეისწავლა.

ამ წიგნში ფერეიდნელები უცნაურ, წარმოუდგენელ ამბებს ყვებიან. ჯერ მარტო ანბანის გამოგონება რად ღირს. იმდენად მოწყვეტილები იყვნენ საქართველოს, რომ არც იცოდნენ, ქართული ანბანი რომ არსებობს, ადგნენ და ხელახლა გამოიგონეს.

**„ერთმა მოფიქრება ითავა, მეორემ – დახატვა. დაგეგმეს, დაივალეს, დაიწყეს. საბედნიეროდ, ამ დროს საქართველოდან ერთი ქართველი ჩამოსულა, გვარად კოჭლაშვილი. უთქვამს, „ანბანი საქართველოსი სამყაროჩი თავადიაო“, ანბანიც გვაქვს, წიგნებიცო. ჩამოუტანა რვეულებიც, წიგნებიც... ასე გაიგეს, რომ უკვე არსებობს ქართული ანბანი“,** – წერს ავტორი.

საბჭოთა კავშირის დროს, როცა საზღვრები ჩაკეტილი იყო, ფერეიდნელებს საქართველოდან ჩასული თითქმის არავინ უნახავთ. დიალექტურ კორპუსს ჩაწერილი აქვს ჰეიდარ დარჩიაშვილის მოგონება, რომელიც შევიდა წიგნში „საკვანძო სიტყვა – ფერეიდანი“, თუ როგორ წავიდნენ ის და მისი ძმა ირანში გასტროლებზე ჩამოსული ქართული ანსამბლის კონცერტზე. მაშინ ნახეს პირველად ქართველები და ქართული სიმღერაც პირველად მოისმინეს.


დიანა ანფიმიადი

**„განათლებულ იმაში და სუფთა, თეთრები, ქართველები. კაცები, დედაკაცები და გუხაროდა მე და ჩემ ძმა და ტაში უკრევდით იგრე, რო ყველამ დაამთავრის და მე და ჩემ ძმა ელა უკრევდით. იგრეგუხაროდა“.**

ანტრაქტზე ანსამბლის მონაწილეებთან რომ მივიდა, მათ გაიოცეს, ქართველები ირანშიც არიანო?

**„ერთი ერთ წიწილას დაიკარგავს, შიდი ქუჩა კარს მოილის, ერთწიწილა მონახოს და ქენ ეხლა, ოთხასი წელია ქართველები ექარიან და ეხლა იკითხავ, აბა, ქართველი ექ არიან?“** – უპასუხა ჰეიდარმა. მათი შეხვედრა იმით დამთავრდა, რომ ჩამოსულებმა, ჯიბეში თუ ჩანთაში რაც კი რამე ქართული სუვენირი ჰქონდათ, ყველაფერი დაუტოვეს.

ფერეიდანში ენის გარდა ათასი სხვა რამეც ახსოვთ: კერძები, რომლებიც ქართულ კულინარიაშიც შეგხვდება; ვაზი და ხორბალი, რომელზეც ამბობენ, რომ მუჭით წაიღეს გადასახლებისას. „ვინ შეჭამა ვენახის“ ლექსიც იციან და წყევლაც: „შავი მიწა დაგაყარე“. სწორედ ამ წყევლიდან გაიგეს, რომ მათ სამშობლოში შავი მიწა ყოფილა და არა წითელი, რომელზეც ახლა სახლობენ. ნახევრად წარმართული რიტუალებიც აქვთ – მაგალითად, ავდარში საცრით გამოსვლა და მზის „გაცრა“. ამის შემდეგ, წესით, დარი უნდა გამოვიდეს - და თანამედროვე რიტუალიც: რადიომიმღებით ხელში აქეთ-იქით სიარული, იქნებ საქართველო „დაიჭირონ“.

**„მე, თხუთმეტის წლისაღა რო შაიქენ, გავიგელა, რო საიდანა ვარდა... – ხო ჩონ მამებმა თქიანყე და ჩონ მამებმაცა რადიო იყო, იმაშინ ცოტა იყო, შეიძლება ერთ ხუთი საჩი ერთ რადიო იყოს და ემაბრუნებდიანყე, რო საქართველო მონახო, საქართველოდაიჭირიანყე და ქართულ ლაპარაკობდიანყე და ემათ უხაროდაყე –ჩონ მამეფსა და იმაზელა მევეჩვიე და გაიგელა, რო ჰა ჩონ იქ საქართველოსაყე ვართ ხო ის და იმაშინ შამიყორდა“,** – ამბობს ერთ-ერთი ფერეიდნელი. იმასაც ამბობს, ამის მერე ვისწავლე ქართული წერა-კითხვაო.

ახლა ფერეიდანში 15 ათასამდე ქართველია დარჩენილი. როდესაც საქართველოდან მკვლევარები ჩადიან, ფერეიდნელები ცდილობენ, რაც იციან, ყველაფერი გაიხსენონ: ბალახის, ჩიტების, მწერების სახელები. თუ რამე დაავიწყდათ, ნერვიულობენ და ახლა სხვას ეკითხებიან, შეიძლება იმან იცოდეს, მით უფრო, თუ ასაკით უფროსია.

კარაზუზუნა მწერია, ვირი „ყირის“, თუ ვინმე დაიღრიალებს, ანუ „მაღლად ხმაუროფს“, იმასაც „ყირის“ ჰქვია, რათ იყირიო, შეუძახებენ. ასეთი გამოთქმაც აქვთ – „საათს გაიძრავს“, ანუ ამ საქმეს საათი მოუნდება... მაგრამ მე ყველაზე მეტად კაჭკაჭის ამბავი მომწონს.

ხმა მოუვიდათ, თეირანს იქით, ერთ ქალაქში, ქართველები ცხოვრობენო. ეძებეს, მაგრამ ქართულად მოლაპარაკეს ვერავის გადააწყდნენ. მარტო ერთი კაცი ნახეს, სიტყვა „კაჭკაჭის“ მეტი არაფერი იცოდა. რადგან ეს სიტყვა იცის, უთუოდ ქართველი იქნებაო, იფიქრეს. ასეც აღმოჩნდა.

**თეა თოფურია,**

**რადიო თავისუფლების ჟურნალისტი 2012 წლიდან.**

# ენერგოეფექტურობის ევროპული სტანდარტები...

ბათუმი პირველი ქალაქი იქნება საქართველოში, სადაც საბავშვო ბაღებში ენერგოეფექტურობის ევროპული სტანდარტები დაინერგება და აღიჭურვება შესაბამისი ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებით. საკითხთან დაკავშირებით, ბათუმის მერიის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა (KfW) და კონსულტანტი კომპანიის – Fichtner GmbH & Co.KG-ის წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრა ონლაინ ფორმატში გაიმართა.

ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, პროექტი პირველ ეტაპზე ითვალისწინებს სხვადასხვა უახლესი ტექნოლოგიის ტესტირებას ბათუმის საბავშვო ბაღებში. პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე შედგენილი იქნა მუნიციპალური ბაღების მოკლე ჩამონათვალი და წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, სადაც შესულია 25 ბაღი და ერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. დაფინანსების ოდენობა 7 მილიონ 500 ათას ევროს შეადგენს გრანტის სახით.





## ლინკოლნ მიტჩელი:

# ტრამპის ხუშტურებმა ბევრ ამერიკელ მოკავშირეს შეუქმნა პრობლემები, მაგრამ საქართველო ამას გადაურჩა!

**კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი და პოლიტიკის ანალიტიკოსი ლინკოლნ მიტჩელი Brussels Morning-ში გამოქვეყნებულ მის ახალ სტატიაში, საქართველოში ამერიკის სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს ვიზიტზე, დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში, ქართული დიპლომატიის მიერ მიღწეულ წარმატებებზე და ასევე, მიხეილ სააკაშვილსა და დონალდ ტრამპის მეგობრობასა და მათ შორის მსგავსებებზე წერს.**

სტატიის ავტორის თქმით, მაიკ პომპეოს საქართველოში ვიზიტის არსი მდგომარეობდა საქართველოსადმი მხარდაჭერის კიდევ ერთხელ დადასტურებაში, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ორ ქვეყანას შორის მიმდინარე, ძლიერი ორმხრივი კავშირების მიმართულებებით.

ლინკოლნ მიტჩელის შეფასებით, როდესაც 2016 წელს, დონალდ ტრამპი გახდა აშშ-ის პრეზიდენტი, საქართველოსთვის, ათწლეულების მანძილზე ამერიკასთან ჩამოყალიბებული კარგი ურთიერთობები საფრთხის წინაშე დადგა, რადგან ტრამპმა აირჩია ამერიკის იზოლაციური როლი მსოფლიო პოლიტიკაში.

ავტორი საქართველოსა და უკრაინას შორის პარალელს ავლებს მათი ამერიკასთან ურთიერთობის თვალსაზრისით და წერს, რომ საქართველო არასდროს ყოფილა ჩათრეული ამერიკის შიდა პოლიტიკურ პროცესებში, განსხვავებით უკრაინისა და იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, რომლებიც დასავლეთში ინტეგრაციას ესწრაფვიან.

მიტჩელი მიიჩნევს, რომ ბოლო 4 წლის მანძილზე საქართველოს ყველაზე დიდი სტრატეგიული მიღწევა აშშ-თან ურთიერთობაში წარმოადგენდა ყურადღების ცენტრიდან გასვლა. **„თუნდაც ისეთი პრეზიდენტობის მანძილზე, როგორი ექსცენტრიული პრეზიდენტობაც დონალდ ტრამპს ჰქონდა, რომელსაც რუსეთთან შემაშფოთებელი კავშირები აქვს, სანამ საქართველო არ იყო ახალ ამბებში, მაშინ ის იყო შედარებით დაცული არაპროგნოზირებადი ამერიკელი პრეზიდენტის კაპრიზული მმართველობისგან. ტრამპის გადაწყვეტილებებმა, როგორიცაა ჩრდილოეთ სირიიდან ამერიკული ჯარის გაყვანა, ნატოსთან აშშ-ს კავშირის შესუსტება და პარიზის კლიმატის შეთანხმებებიდან გასვლა, ბევრ ამერიკელ მოკავშირეს შეუქმნა პრობლემები, მაგრამ საქართველო ამას გადაურჩა.“**

ლინკოლნ მიტჩელი ირონიულს უწოდებს იმ ფაქტს, რომ საქართველო ათწლეულების მანძილზე ცდილობდა, შეენარჩუნებინა საკუთარი პრიორიტეტულობა ამერიკისთვის და გაეძლიერებინა საკუთარი პროფილი ვაშინგტონის თვალში, თუმცა ამ მცდელობების წარმატების გასაღები ბოლო 4 წლის მანძილზე, აღმოჩნდა თავშეკავებულ პოზიციაში ყოფნა ტრამპის ადმინისტრაციასთან, თუმცა საქართველომ შეძლო და განაგრძო ამერიკის კონგრესთან, ასევე იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან ურთიერთობების განმტკიცება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველო-ამერიკის კავშირებში.

ავტორი საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და დონალდ ტრამპის კავშირებსა და მათ პერსონებს შორის მსგავსებებზეც წერს.

**„ორი ქვეყნის ორმხრივ ურთიერთობებს შორის კიდევ ერთი უცნაური ასპექტია, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ტრამპი ჯერ კიდევ ბრენდების შემქმნელი და რეალითი სატელევიზიო შოუს ვარსკვლავი იყო, ხოლო საქართველოს ხელმძღვანელობდა მიხეილ სააკაშვილი, რომლის პარტიამ ძალაუფლება დაკარგა 2012 წლის ბოლოს. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ტრამპი ეწვია საქართველოს და გამოაცხადა შავი ზღვის საკურორტო ქალაქ ბათუმში მშენებლობის დაგეგმვის შესახებ. ეს სასტუმრო არასდროს აშენებულა, მაგრამ ორმა მამაკაცმა, რომლებიც ტემპერამენტულად არც ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მეგობრობა ჩამოაყალიბეს. ახლო მეგობრობა ტრამპსა და საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს შორის ძალიან დესტაბილიზაციის მომტანი იყო საქართველოსთვის. სააკაშვილი ახლა მუდმივად მომაბეზრებელი ოპოზიციონერია და მისი საუბარი რევოლუციაზე საქართველოში დესტრუქციულია და ანადგურებს უფრო რაციონალურ ოპოზიციურ ხმებს.**

**ეს როლი ტრამპმა შეიძლება მალე მოირგოს აშშ-ში“,** — წერს მიტჩელი.

## პოლ გობლი თბილისს პორტების გაფართოებას ურჩევს



**გადაუჭრელი კონფლიქტი, რთული რელიეფი და ძვირადღირებული პროექტი — ეს იმ მიზეზთა ჩამონათვალია, რომელთა გათვალისწინებით აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მრჩეველი, ევრაზიის ქვეყნების დამოუკიდებელი მკვლევარი პოლ გობლი სომხეთზე, ნახჭევანსა და თურქეთზე გამავალი ახალი სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობის გეგმის ჩაშლას არ გამორიცხავს. ამის შესახებ გობლმა „აქცენტთან“ საუბრისას განაცხადა.**

**„ვფიქრობ, მთავარი მიზეზი, რის გამოც აზერბაიჯანმა ყარაბაღის კონფლიქტის თაობაზე შეთანხმებას მოაწერა ხელი, სომხეთზე, ნახჭევანსა და თურქეთზე გამავალი ახალი სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის გეგმაა, რომელსაც მოსკოვი დაეთანხმა და სომხეთიც აიძულა, რომ დათანხმებულიყო. ეს მიმართულება აწყობს თურქეთსაც. თუმცა, რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამმხრივი განცხადების ხელმოწერით კონფლიქტი არ დარეგულირებულა და ახალი ბრძოლების აფეთქებამ შესაძლოა, ამ პროექტის განხორციელება გააჭიანუროს, ან საერთოდ ჩაშალოს იგი. მართალია, ნახჭევანსა და თურქეთს შორის, საერთო ჯამში, 13კმ–იანი საზღვარია, თუმცა ეს მანძილი რკინიგზის, მილსადენებისა და მაგისტრალების მშენებლობისთვის შესაძლოა, საკმარისი იყოს. აღსანიშნავია, რომ ძალიან დიდი პრობლემაა თურქეთში ამ კავშირების მშენებლობა, რადგან ტოპოგრაფიული თვალსაზრისით ტერიტორია ხასიათდება რთული რელიეფით. აქ ნებისმიერი კავშირის მშენებლობა ძვირი დაჯდება და მე ნაკლებად მეგულება საერთაშორისო ბანკი ან რომელიმე მთავრობა, რომლებიც ამ პროექტს დაუჭერენ მხარს მანამ, ვიდრე ბოლომდე დარწმუნებულები არ იქნებიან ამ საკავშირო კვანძის თავიდან ბოლომდე გეგმის მიხედვით განხორციელებაში“,** — განაცხადა გობლმა „აქცენტთან“ საუბრისას.

რაც შეეხება ამ სატრანსპორტო კვანძის შესაძლო გავლენას საქართველოზე, ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში საქართველოს სატრანზიტო ლიდერის როლი ექსკლუზიურად აღარ ექნება.

**„თუ ეს სატრანსპორტო კვანძი აშენდა, საქართველოს სატრანზიტო ლიდერის როლი ექსკლუზიურად აღარ ექნება. ყველაზე დიდი შესაძლო გავლენა ალბათ, იქნება იმ მილსადენის მნიშვნელობის შემცირება, რომელიც აზერბაიჯანიდან თურქეთში საქართველოს გავლით გადის. თუმცა სავაჭრო ხაზი ხმელთაშუაზღვისპირეთსა და კასპიის რეგიონს შორის შესაძლოა იმ დონემდე გაძლიერდეს, რომ საქართველოს გზა მაინც უფრო მნიშვნელოვანი დარჩეს კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში. თუმცა ამ შემთხვევაში ბათუმისა და ფოთის პორტები უნდა გაფართოვდნენ, რათა დატვირთვას გაუმკლავდნენ. თბილისისთვის გონივრული ნაბიჯი იქნება, ახლავე დაიწყოს ამ მიმართულებით დაგეგმვა“,** — დასძინა გობლმა.

## აზერბაიჯანი ტერიტორიებს იბრუნებს

**აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქელბაჯარის რაიონში აზერბაიჯანის არმიის დანაყოფები შევიდნენ. მხარეებს შორის 10 ნოემბერს მიღწეული შეთანხმების თანახმად, ქელბაჯარის რაიონი აზერბაიჯანის იურისდიქციაში გადადის. ამ ტერიტორიაზე კონტროლი ბაქომ 1992 წლიდან დაკარგა.**

აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების შესვლამდე ქელბაჯარი სომხეთის სამხედრო დანაყოფებმა დატოვეს.

## ნახჭევანში მიმავალი რკინიგზის გახსნის დავალება უკვე გაცემულია

ამის შესახებ განცხადება ილჰამ ალიევმა სატელევიზიო მიმართვის დროს გააკეთა, რომელიც ქელბაჯარის რაიონში აზერბაიჯანის არმიის შესვლას ეხებოდა.



**„ჩვენ ისევ აღვადგენთ ყველა რაიონს და ქალაქს. დიდი გეგმები გვაქვს. უკვე დაიწყო ქალაქ შუშაში მიმავალი ახალი გზის მშენებლობა. ეს გზა ფიზულის რაიონიდან დაიწყება და ხოჯევანის რაიონის ნაწილზე გაივლის. მე უკვე გავეცი განკარგულება, რომ ეს გზა უახლოეს ხანში გაიყვანონ. ეს რთული პროცესია, მაგრამ ამას შევძლებთ. ჩვენ აღვადგენთ რკინიგზასაც. მათ შორის, წინასწარ გაცემულია დავალება, რომ დაიწყოს ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკაში მიმავალი რკინიგზის აღდგენა“,** — განაცხადა ილჰამ ალიევმა.

## ალიევმა ალბანური ძეგლები აზერბაიჯანის მემკვიდრეობად გამოაცხადა

**აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის თქმით, „კავკასიური ალბანეთის“ ეკლესიები მათი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობაა.**

ამის შესახებ განცხადება აზერბაიჯანის პრეზიდენტმა სატელევიზიო მიმართვის დროს გააკეთა, რომელიც ქელბაჯარის რაიონში აზერბაიჯანული სამხედრო შენაერთების საკითხს ეხებოდა.

**„ქელბაჯარი ძირძველი აზერბაიჯანული მიწაა. ქელბაჯარის ისტორიული ძეგლები ჩვენი უდიდესი მემკვიდრეობაა. მეჩეთებიც და ეკლესიებიც ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობაა. აზერბაიჯანელმა ხალხმა ეს ძალიან კარგად იცის და მსოფლიომაც უნდა იცოდეს, რომ ქელბაჯარში მდებარე ეკლესიები ძველ „კავკასიური ალბანეთის“ სახელმწიფოს ეკუთვნის. ამას მრავალი ისტორიული დოკუმენტი ამტკიცებს. უბრალოდ, სომეხმა ისტორიკოსებმა და ფალსიფიკატორებმა სომხურად გადააკეთეს ეს ეკლესიები და მიითვისეს. ისტორიას რომ გადახედოთ, 1830-იან წლებში რუსეთის იმპერიამ გააუქმა ალბანური ეკლესია და ეს ძეგლები სომხურ ეკლესიას გადასცა. სომეხმა მღვდელმსახურებმა კი, მათი მითვისება დაიწყეს. მათი მიზანი იყო კავკასიური ალბანეთის კვალის წაშლა. მაგრამ ჩვენ მათ ამის ნება არ მივეცით. აზერბაიჯანში ამ საკითხზე ბევრი სამეცნიერო კვლევაა, რომელიც მსოფლიო საზოგადოებამ უნდა იცოდეს. „კავკასიური ალბანეთი“ იყო დიდი სახელმწიფო. „კავკასიური ალბანეთის“ კუთვნილი ისტორიული ძეგლები და ეკლესიები აზერბაიჯანის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობაა. ჩვენ ამ ეკლესიებს ვიცავთ და ეს ასეც გაგრძელდება“,** — განაცხადა ალიევმა.

## რუსი სამშვიდობოები ყარაბაღში 5 წლის შემდეგაც დარჩებიან

სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის განცხადებით, რუსი სამშვიდობოები მთიან ყარაბაღში 5 წლის შემდეგაც დარჩებიან.

**„ხუთ წელიწადში უნდა მოვასწროთ რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტიების შექმნა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს მრავალწლიანი ისტორია აქვს, მე არ ვფიქრობ, რომ რეგიონში რუსი სამშვიდობოების ყოფნის ვადა ხუთი წლით შემოიფარგლება. ხუთი წელი — ეს მხოლოდ პროცესის გადასაწყისია, თუმცა შეთანხმებაში გათვალისწინებულია ავტომატური გახანგრძლივების შესაძლებლობაც. ჩემი აზრით, ახლა ყველაზე მთავარია მთიან ყარაბაღისა და მისი მოსახლეობის სტაბილურობის უზრუნველყოფა. იმედი მაქვს, რომ რუსი სამშვიდობოების მისია წარმატებული იქნება და ისინი მიაღწევენ დასახულ მიზნებს“,** — აცხადებს ფაშინიანი.



მან ასევე ისაუბრა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ აზერბაიჯანთან დადებულ შეთანხმებაზე. ფაშინიანის თქმით, სომხური საზოგადოება ხვდება, რომ შექმნილი სიტუაციიდან სხვა გამოსავალი არ არსებობდა.

**დანართი 1**

დამტკიცებულია
სსიპ - გარემოს ეროვნული
სააგენტოს უფროსის
2020 წლის „25. 11."
N484 ბრძანებით

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

### ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| | | |
|---|---|---|
| ობიექტი N1 | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანო | | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ N150. TEL: 032 2439503 |
| 3 | ელ-ფოსტა | info@nea.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისთვის | ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი სალიცენზიო პირობები:<br>ა) ყოჩივარდას გორგლების მოპოვება განახორციელოს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, გარდა დაცული ტერიტორიებისა;<br>ბ)მოსაპოვებელი რესურსის ოდენობად ყოველწლიურად განისაზღვროს 30 000 გორგალი (3000 (სამი ათასი) კილოგრამი). |
| | | გ) ლიცენზიის ფარგლებში ყოველწლიურად გორგლების მოპოვების დაწყებამდე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარმოადგინოს:<br>გ.ა) იმ ტერიტორიების x y კოორდინატებისა და შესაბამისი ნაკვეთის წერტილოვანი და პოლიგონური ფენის Shp-ფაილები UTM კოორდინატთა სისტემაში;<br>გ.ბ) უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ზემოაღნიშნული ნაკვეთის სიტუაციური გეგმა, საიდანაც მიმდინარე წელს უნდა მოიპოვოს ყოჩივარდას გორგლები, ინფორმაცია აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებული ყოჩივარდას გორგლების ოდენობის შესახებ და ამ ტერიტორიებიდან ყოჩივარდას მოსაპოვებელი ოდენობის შესახებ;<br>გ.გ.) ინფორმაცია მოსაპოვებელი გორგლების ზომის შესახებ და რესურსის მოპოვების გრაფიკი კონკრეტული უბნების (მათ შორის, უბნის ფართობისა და ჰაბიტატის ტიპის შესახებ) მიხედვით. მოპოვების გრაფიკში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში ინფორმაცია |
| | | წინასწარ უნდა მიეწოდოს სამინისტროს და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. ყოჩივარდას გორგლების მოპოვება განახორციელოს წარმოდგენილ რესურსის მოპოვების გეგმა-გრაფიკში მითითებულ ტერიტორიაზე; აღნიშნული გეგმა-გრაფიკის შეთანხმების შემდეგ;<br>დ) სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ყოჩივარდას მოპოვების გეგმის არსებობის შემთხვევაში, კონკრეტული ტერიტორიები უნდა შეუთანხმდეს შესაბამის მართვის ორგანოს.<br>ე) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარმოადგინოს ანგარიში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის N179 ბრძანებით დამტკიცებული „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის წესისა და ვადების" ფორმა N5 ცხრილი N1-ის შესაბამისად. ამასთან, გორგლების მოპოვების და ექსპორტის შემდეგ, ყოველი წლის არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, სამინისტროში |
| | | წარადგინოს ანგარიში და ასევე ინფორმაცია განხორციელებული ქმედებების შესახებ, მათ შორის ქვეყნის შიგნით განხორციელებული ქმედებების (ინფორმაცია მოპოვების მეთოდის, ბოლქვების შენახვის, დახარისხების, გაშრობის, ტრანსპორტირების, გადამუშავების, დასაქმებული პირების ოდენობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის, მოპოვების ტერიტორიების, მოპოვების თარიღის/პერიოდის შესახებ, ასევე, სასაქონლო და არასასაქონლო ზომის ბოლქვების ფაქტობრივად მოპოვებული ოდენობების შესახებ) თაობაზე. ანგარიშს უნდა დაერთოს შესაბამისი ფოტომასალა (მათ შორის მოპოვების ამსახველი).<br>ვ) არასასაქონლო ზომის გორგლების მოპოვების შემთხვევაში, გორგლების კერძო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე ჩათესვის საკითხი შეთანხმებული უნდა იქნას სამინისტროსთან;<br>ზ) ფლობდეს გორგლების რეალიზაციისათვის მოსამზადებლად საჭირო ინფრასტრუქტურას: გორგლების შესანახად ვარგისი სათავსო, რომელშიც შესაძლებელი იქნება საჭირო ტემპერატურისა და ტენიანობის შენარჩუნება.<br>თ) გორგლების მოპოვება განახორციელოს მეორადი ადგილსამყოფელების, დეგრადირებული ტყისა და ტყისშემდომი ჰაბიტატებიდან, ასევე ადამიანის მიერ შექმნილი ჰაბიტატებისა (მაგ., გზისპირები, ურბანული დასახლებები, სხვადასხვა დაზიანებული შენობა-ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიები, სპონტანური მცენარეულობა სოფლებსა და ქალაქებში) და სხვა დაბალი საკონსერვაციო ღირებულების უბნებიდან. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ყოჩივარდას გორგლის მოპოვება (მოპოვების ყოველწლიური კვოტა (30 000 ოცდაათი ათასი გორგლი 3 000 (სამი ათასი) კგ) |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქვეყნის მთლიანი ტერიტორია, გარდა დაცული ტერიტორიებისა; |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 108 000 (ასრვა ათასი) ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%) | 10 800 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10%) თანხის ოდენობა + 100 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 10 900 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია დაიწყება 2020 წლის 26 ნოემბერს 12:00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 24 დეკემბერს 18:00 საათზე. |
| 12 | აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი დაიწყება 2020 წლის 25 დეკემბერს 12:00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 25 დეკემბერს 18:00 საათზე. |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი (2021-2023 წლები) |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში. |

◎ რვა ერი

# მზადება ირლანდიისთვის



**ჰლანეჰლიში უელსთან ნაბრძოლი „ბორჯღალოსნები“ ინგლისში, ბანაკში დაბრუნდნენ და „შემოდგომის ერთა თასის“ მესამე მატჩისთვის ემზადებიან.**

კვირას მგზავრობასთან ერთად დასვენების და აღდგენის დღე იყო, ხოლო დღეს ცნობილი უნდა გახდეს ტრავმირებული მორაგბეების, მათ შორის კოტე მიქაუტაძის მდგომარეობა, რომელმაც უელსთან მატჩში ნეკნი დაიზიანა.

მესამე რაუნდში „ბორჯღალოსნები“ 29 ნოემბერს თბილისის დროით 18 საათზე „ავივაზე“ (დუბლინი) ირლანდიას ეთამაშებიან, რომელთანაც აქამდე ოთხჯერ გვირაგბია.

1998 და 2002 წლებში მეტოქეს მსოფლიო თასის შესარჩევ ეტაპზე დუბლინში ვეთამაშეთ და მეტოქემ ორივეჯერ დიდი სხვაობით მოიგო – 70:0 და 63:14. 2007 წლის მსოფლიო თასზე, „ბორჯღალოსნებმა“ ტიერ1-ის გუნდებთან ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარეს, იმ დროისთვის პირველად და მეტოქე სენსაციურ მარცხს გადაურჩა – 10:14. ამ თამაშში საქართველომ პირველი ქულა მოიპოვა მსოფლიო თასებზე მონაწილეობის ისტორიაში.

ბოლოს ირლანდიას 2014 წელს ტესტ-მატჩში ასევე დუბლინში ვეთამაშეთ და მასპინძლებმა 49:7 მოიგეს.

„შემოდგომის ერთა თასის“ დაწყებამდე ირლანდიელებმა 2020 წლის ექვსი ერის გადადებულ მატჩში ჯერ იტალიას სძლიეს ბონუსით (50:17), მერე კი საფრანგეთს ეწვივნენ და 27:35 დამარცხდნენ.

მიმდინარე ტურნირის პირველ ტურში ირლანდიამ უელსს უმასპინძლა და 32:9 მოუგო, მეორე რაუნდში კი ინგლისში 7:18 დამარცხდა და 4 ქულით ჯგუფში მეორე ადგილზეა.

**კობა კობახიძე**

◎ ევრობასკეტი

# იქნებ, ასე სჯობდეს კიდეც

**უკვე გაუწყეთ, რომ ევრობასკეტის საკვალიფიკაციო რაუნდის მორიგი შესარჩევი მინი-ტურნირი ფინეთის ქალაქ ესპოოში გაიმართება, სადაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად მასპინძლები, შვეიცარიელები და სერბები ითამაშებენ.**




„ბაბლის“ სისტემით შეკრებილი კვარტეტის წევრები ამჯერად ერთმანეთთან ორ-ორ მატჩს მოაწყობენ.

გაეცანით „ჯვაროსანთა“ ბრძოლების კალენდარს: **28 ნოემბერი.** 21 საათი და 30 წუთი. ფინეთი – საქართველო. **30 ნოემბერი. 18 საათი.** საქართველო – შვეიცარია. აღნიშნული შეხვედრების პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი შემოგვთავაზებს.

როგორც მოგეხსენებათ, ილიას ზუროსის გაწვრთნილი გუნდი ორი გამარჯვებით თავისი ჯგუფის ლიდერია, თუმცა, როგორც მომავალი ფორუმის ერთ-ერთი ორგანიზატორი ქვეყნის წარმომადგენელს, ფინალური ეტაპის საგზური დაჯავშნილი აქვს.

ადვილი მისახვედრია, რომ დასახელებული გარემოება ბიჭებს ფსიქოლოგიური სტრესისგან ათავისუფლებს, თანაც, მთელ რიგ დებიუტანტებს ახალ პარტნიორებთან საერთო ენის გამოსანახავად მშვენიერ შანსს აძლევს.

ესენი არიან ბულაშვილი, ფევაძე, ბაქრაძე და ზაქრაძე, რომელიც ნაკრებში ოთხწლიანი შესვენების შემდეგაა გამოძახებული. ნაკრებს საფრანგეთიდან შეუერთდნენ აგრეთვე ტურძელაძე და კორსანტია.

რაც შეეხება დანაკლისს, ტრავმებისა თუ კორონავირუსის პანდემიის გამო გამკაცრებული რეგულაციების მიზეზით იგი საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება: ცინცაძე, ბურჯანაძე, ბითაძე, სანაძე, ანდრონიკაშვილი და ბერიშვილი.

სხვათა შორის, სამშობლოში რჩება ბერძენი თავკაცის დაინფიცირებული ასისტენტი მანუჩარ მარკოიშვილი, მაგრამ, სამაგიეროდ, სუომიში ჩადიან შენგელია, შერმადინი და მაკფადენი, რაც, დაგვეთანხმებით, ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. სასიხარულოა აგრეთვე ფიბა-ს რეიტინგში ერთბაშად 6 პოზიციით დაწინაურება და მე-12 ადგილამდე აღზევება, თანაც გავუსწარით სლოვენიასა და რუსეთს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ჩემპიონთა ლიგა

# იბრძოლეთ ბოლომდე!

**გაირკვა „ლანჩხუთის“ ფეხბურთელ ქალთა სენსაციური და საამაყო გუნდის მეტოქის ვინაობა ჩემპიონთა ლიგის მეთექვსმეტედფინალში.**

ესაა შვედური „როსენგარდი“, რომელსაც გიორგი ჩხაიძის შეგირდები 9 ან 10 დეკემბერს, სავარაუდოდ, ჯერ ქუთაისის რამაზ შენგელიას ან გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე უმასპინძლებენ, ხოლო 15 ან 16 დეკემბერს სკანდინავიაში ეწვევიან.




შეგახსენებთ, რომ განვლილ საკვალიფიკაციო რაუნდებში ქართულმა კლუბმა სტუმრად ყაზახური „ოკჟეტპესი“ (2:1) და რუმინული „კლუჟი“ (1:0) დაამარცხა.

ამასობაში დაიწყო ძლიერი სქესის ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ჯგუფური ეტაპის მეორე წრის შეხვედრები.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმეს ბედი უკანასკნელ წუთებზე გადაწყდა: „რენი“ – „ჩელსი“ – 1:2 (ჟირუ), „კრასნოდარი“ – „სევილია“ – 1:2 (ელ ჰადიდი, პენალტით) და „იუვენტუსი“ – „ფერენცვაროში“ – 2:1 (მორატა). უნგრელთა რიგებში ლაშა დვალმა ითამაშა.

დღის მოვლენად იქცა ამომავალი ნორვეგიელი ვარსკვლავის ერიკ ჰალანდის კიდევ ერთი გაბრწყინება, რომლის მორიგმა დუბლმაც დორტმუნდის „ბორუსიას“ შინ ბელგიურ„ბრიუგესთან“ მოუტანა გამარჯვება – 3:0.

კიევში მოულოდნელად 4:0 გაინავარდა ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩასულმა „ბარსელონამ“, რომელსაც მესი, პიკე,ბუსკეტსი, სერხი რობერტო, ანსუ ფატი და დე იონგი აკლდნენ. კი მაგრამ, ვინლა ითამაშესო? – იკითხავთ, ალბათ, და მართალნიც იქნებით. უკრაინელებს გოლები დესტმა, ბრაიტვაიტმა (2) და გრიზმანმა გაუტანეს.

**დანარჩენი შედეგები:** „პარი სენ-ჟერმენი“ – „ლაიფციგი“ 1:0, „მანჩესტერი “ – „ბაშაქშეჰირი“ 4:1, „ლაციო“ – „ზენიტი“ 3:1.

**გიორგი შოთაძე**

◎ 64

# საჭადრაკო ენციკლოპედიის შემოქმედი

**შუა თამაშში მეფე მხოლოდ სტატისტია, ხოლო ენდშპილში ის ერთ-ერთი მთავარი აქტიორია.**
**არონ ნიმცოვიჩი**

**ენდშპილის თეორია და ეტიუდები ხელჩაკიდებულნი ვითარდებიან.**
**ილია მაიზელისი***



**იური აკობიას (1937-2014) საერთაშორისო არბიტრის წოდება საჭადრაკო კომპოზიციაში 1966 წელს მიენიჭა. შედგენილი აქვს 200-მდე ეტიუდი. ავტორია სამტომეულის „მსოფლიოს საჭადრაკო ანთოლოგია“, რომელშიც თავმოყრილია საჭადრაკო მემკვიდრეობის 20 000-მდე ნიმუში.**

იური აკობიამ 2010 წელს ეტიუდების შედგენაში მსოფლიოს I თასი მოიპოვა. იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა ბატონ გია ნადარეიშვილთან და მასთან თანაავტორობით გამოსცა ჭადრაკის მოყვარულთა სამაგიდო წიგნი „შამათი ეტიუდებში“, ხოლო ბატონ დავით გურგენიძესთან ერთად შედგენილი აქვს არაერთი საინტერესო ეტიუდი, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით – ენდშპილის შემეცნებაში.

ი. აკობია. დ. გურგენიძე
„ვისწავლოთ ენდშპილი“
2003




ყაიმი

ი. აკობია, დ. გურგენიძე
საპატიო გამოხმაურება
„გიდსკრიფტ ფორ შაკ“
2002




მოგება

* **შენიშვნა:** ილია მაიზელისი (1894-1978) – საბჭოთა მოჭადრაკე, თეორეტიკოსი, ლიტერატორი და ისტორიკოსი, ჟურნალ „64“-ის რედკოლეგიის წევრი, საუკეთესო შედეგი: I-II ადგილები მოსკოვის პირველობაზე (1932).



ენდშპილის ეტიუდების თეორიული პოზიციები უხვად არის გაანალიზებული დ. გურგენიძის წიგნებში „ვისწავლოთ ენდშპილი“ და„ქართველების პაწია ეტიუდები“.

**თამაზ შენგელია**

◉ ხუმრობა იქით იყოს

# ცალსქესიანობა ქულებს აგროვებს

**იმის დასტურად, რომ კორონავირუსთან ორთაბრძოლა კაცობრიობას ჯანმრთელობასთან ერთად ზნეობრივადაც აზიანებს, რომის პაპის ამასწინანდელი განცხადებაც გამოდგება. „ერთი და იგივე სქესის ადამიანებს, — თქვა პაპმა ფრანცისკემ, — აქვთ უფლება, შექმნან ოჯახი. ისინი ღვთის შვილები არიან და უნდა ჰქონდეთ უფლება, შექმნან ოჯახი. არავინ არ უნდა იყოს განკიცხული და ამის გამო ტანჯული. საჭიროა, შეიქმნას კანონი სამოქალაქო კავშირებზე და ეს ადამიანებიც იქნებიან კანონით დაცულნი“. ამას ამბობს ადამიანი, რომელიც კათოლიკეებისთვის ღმერთის მოადგილეა დედამიწაზე, პირველი ადამიანი მთელ კათოლიკურ სამყაროში. ეს ის პაპია, რომლის ხელის შეხებაზეც ოცნებობს მილიონობით ადამიანი.**



პაპის ამ უჩვეულო განცხადებამ გამახსენა ანტიკური აზროვნების ფერგაუხუნარი ტიტანის — პლატონის თეორია, რომლის მიხედვითაც თავდაპირველად ადამიანი უნდა ყოფილიყო ერთსქესიანი არსება, რომელიც ბურთს წააგავდა. ეს ჩამრგვალებული ტიპი თურმე



იმდენად ამპარტავანი გახლდათ, რომ თავის მოქმედებით ზევსი გააბრაზა და მან ის ორ ნაწილად გაყო — მამაკაცად და ქალად. აბა, მაშინ ზევსი რას წარმოადგენდა, რომ თავის სასჯელით ამ ორივე არსებას არნახულ სიამოვნებასა და ბედნიერებას სწევდა!

ზევსის ამ უნებლიე შეცდომით კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე ანგარიშმიუცემლად სარგებლობდა. მაგრამ ვაი ასეთ სარგებლობას, დროის დინების კვალდაკვალ მამაკაცისა და ქალის დაპირისპირების წყალობით საზოგადოებას უამრავი პრობლემა მოეძალა, რომელთა გადაწყვეტა სულ უფრო და უფრო შეუძლებელი გახდა. ამის დასტურია უამრავი შუღლი, ქიშპობა, ნარკომანია, ლოთობა, პროსტიტუცია და რიგი სხვა უკუღმართობანი, რომელთა მასშტაბები მსოფლიოში გეომეტრიული პროგრესიით იზრდება.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ორსქესიანობამ პრაქტიკულად ვერ გაამართლა და ადვილი მოსალოდნელია, ახლო მომავალში თავის საწყის ეტაპს — ერთსქესიანობას კვლავ დაუბრუნდეს. მით უფრო, რომ ამის მიდრეკილება საზოგადოებაში კარგა ხანია გაჩნდა — ყანაში მობიბინე ყაყაჩოებივით მომრავლდნენ ერთმანეთის სექსმოყვარე როგორც კაცები (გეები), ისე ქალები (ლესბოსელები), რომელთაც რომის პაპთან შეუთანხმებლად ამერიკასა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ქორწინების დაკანონებასაც კარგა ხანია მიაღწიეს.

გამორიცხული არ არის, რომ ამ პროგრესულმა, დემოკრატიულმა მიზანსწრაფულმა მოძრაობამ პოლიტიკაშიც მოიკიდა ფეხი და ერთმანეთზე მექორწინე გეებმა ქვეყანაში აირჩიონ თავიანთი პარლამენტი, ხოლო მექორწინე ლესბოსელებმა — თავიანთი, რასაც შეიძლება წინ უძღოდეს ხალხმრავალი დემონსტრაციები და რევოლუციებიც კი.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ფრიად „მოსაწონია“, მაგრამ ისიც საკითხავია, როგორი იქნება ამ მხრივ საქართველოს მომავალი? ვერ ვიტყვი, რომ სახარბიელო. ჯერ ერთი; პარლამენტში მუშაობის პირობებში რა ხეირი ვნახეთ ჩვენი ავი ძაღლებივით ურთიერთმთელავი კანონმდებლებისგან, რომ განცალკევებით მოღვაწე გეებმა და ლესბოსელებმა რაიმე სასიკეთოს ქმნის იმედი გაგვიჩინონ?!

ერთადერთ იმედად ისღა გვრჩება, რომ დასავლეთიდან მოძალებულ ცალსქესიანობის ტალღას საქართველოში ჯერჯერობით მყარად ფეხგადგმული მართლმადიდებლობა და ეროვნული ტრადიციები ამუხრუჭებენ. მაგრამ მთლად არც ამის იმედად ყოფნა გამოგვადგება. ჩვენ, როგორც უძველესმა მართლმადიდებლური ტრადიციების მატარებელმა ქვეყანამ, შეიძლება, პირველ ხანებში ევროატლანტიკურ სექსცივილიზაციას მთლად მხარი ვერ ავუბათ და შვედი პედაგოგების დარად ვერც უსქესო საბავშვო ბაღები და უნივერსიტეტები გავხსნათ, მაგრამ იმდენი „გონიერება“ მაინც უნდა გამოვიჩინოთ, რომ არატრადიციული სექსის მიმდევართ ქორწინების უფლებას თუ არ მივცემთ, გეიაღლუმები მაინც ჩავატარებინოთ და ამით ჩვენი ევროპული და ამერიკული კეთილისმყოფელების გული მოვიგოთ. ისინი, ვფიქრობ, „მართალნი“ არიან, როცა გვეუბნებიან, ხელისუფლების მოვალეობაში არ შედის, აკონტროლოს ქორწინების შემდეგ ლოგინში მარტო ქალები იგორავებენ თუ მარტო კაცები.

დროთა განმავლობაში ამას ყველაფერს მოევლება, მაგრამ რჩება ერთი გაუგებრობა: რომის პაპს თუ დავუჯერებთ და ქვეყანაში ცალსქესიანობამ იმძლავრა, ისედაც მცირერიცხოვანი ერი როგორღა გავმრავლდებით? ალბათ, ამაზე თავად გეები და ლესბოსელები იზრუნებენ. ბოლოს და ბოლოს, თუ ძალიან გაჭირდა, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, ალბათ, კვერცხების დადებასაც არ ითაკილებენ, მერე კრუხადაც დასხდებიან და შთამომავლობას გამოჩეკენ. ყოველ შემთხვევაში, ადამიანს, რომლის ევროატლანტიკურ სექსდემოკრატიას ეზიარება, უქალკაცობის გამო გამრავლება არ უნდა გაუჭირდეს.

**ოთარ ხუციშვილი**

## სულთათანა

# შოთა ბიბილეიშვილი



**საქართველოს ნევროლოგთა კავშირი და სწავლულ მედიკოსთა ფართო საზოგადოებრიობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 90 წლის ასაკში, აშშ-ის ქალაქ ათენში (ტენესის შტატი) გარდაიცვალა ქართული ნევროლოგიური სამეცნიერო სკოლის ამაგდარი მესაძირკვლე, უბადლო კლინიცისტ-ნევროლოგი, ნევროლოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

# შოთა ილიას ძე ბიბილეიშვილი

**ნახევარსაუკუნოვანი თავდადებული ღვაწლით მან დიდი მასწავლებლის პეტრე სარაჯიშვილის მხარდამხარ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული ნევროლოგიის ბურჯის, პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის მიერ მაღალი, საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვებაში.**

**პროფესორ შოთა ბიბილეიშვილის ნაყოფიერმა შემოქმედებამ ახალ ნეირო-სამეცნიერო მიმართულებაში, კლინიკურ ნეირო-სომნოლოგიაში საერთაშორისო აკადემიურ წრეებში ფართო აღიარება მოიპოვა.**

**ქართული მედიცინის სახელოვანი ისტორია მადლიერებით შეინახავს პროფესორ შოთა ბიბილეიშვილის ნათელ ხსოვნას.**

**გულწრფელად ვუსამძიმრებთ ქალბატონ ვალიას და მთელ ოჯახს.**

**საქართველოს ნევროლოგთა
კავშირის სახელით**

**პრეზიდენტი რომანოზ შაქარიშვილი**

---

**იაკობ ლეჟავა, მანანა კუნჭულია, სოზარ ჩხენკელი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან პროფესორ**

# შოთა ბიბილეიშვილის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

## სანთელი

# მარინა ლომიძე



**40 ტკივილიანი დღე გასულა...**

**როგორ დავიწყო, არ ვიცი, ისიც ვიცი, რომ სიტყვებს არ შეუძლია, გამოხატოს ის ამოუვსებელი სიცარიელე, ტკივილი, რაც შენმა დაკარგვამ გამოიწვია. უშენობას სახელს ვერ ვარქმევ, მეცოდები... არა, მეამაყები, რომ ჩემს ცხოვრებაში არსებობდი, რომ იყავი ღირსეული მეუღლე, მეგობარი, დედა და ბებია. და თუ ვუძლებ, ისევ შენი დიდი სიყვარული მაძლებინებს.**

**მე ხომ ვიცი, შენ როგორ მოიქცეოდი, შეძლებდი შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრების გაგრძელებას. მათთვის ხომ უსაშველო მონატრება და აუნაზღაურებელი ტკივილი ხარ.**

**ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს.**

**ოჯახი.**

---

# ნარკორეალიზატორი საკურიერო ჩანთითა და სკუტერით

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული თ.ტ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.**



შსს-ში აცხადებენ, რომ დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, 24 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ ამოიღეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის შესანიღბად, ერთ-ერთი საკურიერო მომსახურების ზურგჩანთას და სკუტერს იყენებდა, რისი საშუალებითაც გადაადგილდებოდა ქალაქის სხვადასხვა მისამართებზე.

# ვის შერჩენია, რომ შერჩეს, დაცინვა ამა ქვეყნისა!



— დიახ, დიახ, ვის შერჩენია, რომ შერჩეს დაცინვა ამა ქვეყნისა! — გიტარაზე ამღერებდა ლომკაცი ჟორჟიკა იაშვილი.

მამაჩემის ძმაკაცი იყო...

— ახლა, რასაც ვუყურებთ, ვიმკით კოჰაბიტაციის ნაყოფს, ვაი-ვუიშია ქვეყანა! არ დაგვადგა საშველი!

2012 წლის ოქტომბრის არჩევნებმა ქართველ ხალხს იმედი და ნუგეში მისცა.

ბოროტი ძალა შეცვალა კეთილმა.

მაგრამ დღესდღეობით ამ ავადსახსენებელმა „სიამის ტყუპობანამ" (ნაც-ქოცების კოჰაბიტაციამ) შეარყია ჩვენი უდიდესი წმიდანების ღვაწლით და დიდი ბრძოლებით გადარჩენილი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა საქართველო!

ქართველი ხალხი, ათასეული წლებით შედუღაბებული, სხვა ერებთან ერთად, განურჩევლად მრწამსისა და ეროვნებისა, იმედიანად შესცქერის მომავალს.

გიორგობის თვე ძლევამოსილი წმიდა გიორგის თვეა... ქართველთა მფარველი წმინდანის მადლი მოჰფენოდეს სრულიად საქართველოს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!

უფალი იყოს ჩვენი შემწე!

**გურამ საღარაძე,**
**საქართველოს პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდის" საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე;**
**თბილისის საპატიო მოქალაქე;**
**მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში;**
**საქართველოს ღირსების და ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენების კავალერი.**

# დავით ხახალეიშვილის გადასარჩენად ფონდი „ქართუ" იზრუნებს

**დავით ხახალეიშვილი, რომელსაც ძვირადღირებული მკურნალობა სჭირდება, ფონდ „ქართუსა" და ბიძინა ივანიშვილს დახმარებისთვის მადლობას უხდის.**



„ძვირფასო მეგობრებო, როგორც თქვენთვის გახდა ცნობილი, შემექმნა ჯანმრთელობის უმძიმესი პრობლემა — დამიდგინეს გულის ძალიან რთული დაავადების უმძიმესი დიაგნოზი. ჩემი მდგომარეობა თბილისის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში კრიტიკულად შეაფასეს. სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი გზა გულზე ძვირადღირებული და ურთულესი ოპერაციის ჩატარება იყო. ოპერაციისა და შემდგომი მკურნალობა-რეაბილიტაციისთვის 250 ათასი აშშ დოლარი მესაჭიროებოდა. იძულებული გავხდი, თქვენთვის მეთხოვა დახმარება. გვერდში დამიდგნენ ჩემი ახლობლები, მეგობრები, სპორტული საზოგადოების წარმომადგენლები. თუმცა იმასაც ვაცნობიერებდი, რომ ამ თანხის შეგროვება თითქმის წარმოუდგენელი იყო.

ამ უმძიმეს ვითარებაში დახმარების ხელი საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ" და მისმა დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა გამომიწოდა. ფონდმა, რომელიც წლებია, გვერდში უდგას ქართულ სპორტს და უპრეცედენტო ქველმოქმედებას ახორციელებს, ამჯერად მიზნად ჩემი სიცოცხლის გადარჩენა დაისახა. „ქართუ" სრულად დააფინანსებს ოპერაციასა და მკურნალობას.

სიტყვებით რთულია გამოვხატო ჩემი მადლიერება. მადლობა ფონდ „ქართუსა" და ბატონ ბიძინა ივანიშვილს. თქვენ მე სიცოცხლის შანსი მომეცით და ჩემს ოჯახს იმედი ჩაუსახეთ!

მადლობა ჩემს ოჯახს, ახლობლებს, მოქმედ და ვეტერან სპორტსმენებს, ჟურნალისტებს, ქართული ძიუდოსა და მთლიანად ქართულ სპორტულ ოჯახს. მეამაყება, რომ მეც ამ ოჯახის წევრი ვარ. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს გმირებს — ექიმებს!

მე უკვე მინსკში ვარ, დაწყებულია ჩემი მკურნალობის პირველი ეტაპი, პარასკევს კი ოპერაციაა დანიშნული.

მალე აუცილებლად დაგიბრუნდებით ახალი სიცოცხლითა და ენერგიით! — წერს დავით ხახალეიშვილი.

დავით ხახალეიშვილი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონია (გაერთიანებული გუნდის შემადგენლობაში). 1992 წელს ბარსელონაში ქართველი ძიუდოისტის გამარჯვების აღსანიშნავად, ოლიმპიურ თამაშებზე პირველად აღიმართა საქართველოს ეროვნული დროშა და აჟღერდა სახელმწიფო ჰიმნი.

# ყველაზე პოპულარული მინი-სერიალი




**„დედოფლის სვლა" სულ რაღაც ერთი თვეა, რაც ეკრანებზე გამოვიდა და კინოინდუსტრიის ისტორიაში ყველაზე მეტი მაყურებელი მიიზიდა. „Netflix"-ის პროდუქციამ, რომელიც გაქირავებაში 2020 წლის 28 ოქტომბერს ჩაეშვა, უკვე 62 მილიონი მაყურებელი მიაჯაჭვა ეკრანს.**

მინი-სერიალი 7 ეპიზოდისგან შედგება და ჭადრაკის „გენიოსის" ბეთ ჰარმონის ისტორიას მოგვითხრობს, რომელსაც სურს ცნობილი გახდეს, მაგრამ ემოციური პრობლემები და ნარკოდამოკიდებულება ამ ყველაფერში ხელს უშლის. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ფილმში ქართული ჭადრაკის დედოფლის ნონა გაფრინდაშვილის სახელიც არის ნახსენები, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი გენიალური მოთამაშისა...

მთავარ როლს ფილმში ანა ტეილორ-ჯოი ასრულებს.

# ჩარლი ამელიო – მედიის ვარსკვლავი

**სოციალური მედიის „ტიკ-ტოკის" ახალგაზრდა ვარსკვლავმა სულ რაღაც ერთ წელიწადში მოახერხა 100 მილიონი ხელმომწერის მოგროვება. მაშინ, როდესაც „You Tube"-ს ყველაზე ცნობილ ვარსკვლავს 14 წელი დასჭირდა ამ რაოდენობის შეგროვებისთვის.**




16 წლის ამელიო მოცეკვავეა და მისი ვიდეოებიც, რომელიც ინტერნეტში ვირუსივით ვრცელდება, ძირითადად ცეკვის ელემენტებს შეიცავს. გოგონას პოპულარობა დიდი ხანია გასცდა სოციალურ მედიას. მას ცნობილი კომპანიები რეკლამებში იღებენ, ხოლო მსოფლიოში ცნობილი ამერიკული სწრაფი კვების ქსელმა „Dunkin Donuts"-მა მისი სახელობის სასმელიც კი ჩაუშვა გაყიდვაში.

სოციალურ ქსელში ჩარლის მშობლებიც არიან უკვე ჩართულნი და საკმაო პოპულარობით სარგებლობენ. ხოლო გოგონა დასთან ერთად მეორე უმსხვილესი სოციალური მედიის დაპყრობასაც ცდილობს. მათ საკუთარი „You Tube"-ც შექმნეს და იქაც დიდი პოპულარულობით სარგებლობენ.

ჩარლი და მისი ოჯახი სოციალური მედიის საშუალებით დიდი ხანია საკმაოდ სოლიდურ შემოსავლებს აგროვებენ.

# ერთადერთი ევროპელი მილიარდერი

**სააგენტო „Bloomberg"-ის ცნობით მილიარდერთა სიაში ბერნარ არნო ერთადერთი ევროპელია. საგულისხმოა, რომ ტოპ ხუთეულიდან მხოლოდ მას არ დაუგროვებია ქონება თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით.**



ბერნარ არნო „Louis Vuitton Moet Henness"-ის კონგლომერატის პრეზიდენტია და მისი ქონება 103 მილიარდი დოლარია.

პანდემიის დაწყებისას მათმა კომპანიებმა გარკვეული ზარალიც კი ნახეს, მაგრამ წლის ბოლოსთვის მაინც შეძლეს მოგებაზე გასვლა და ახლა არნო მაიკლ ცუკერბერგსაც უსწრებს თავისი შემოსავლებით.

მილიარდერი განსაკუთრებული ქველმოქმედებით გამოირჩევა. იგი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებს ნიჭიერ ახალგაზრდებს, რათა მათ გზა გაუკვალოს; სოლიდურ თანხებს რიცხავს მსოფლიოს ეკოლოგიის გადასარჩენად. მას ასევე უდიდესი წვლილი შეაქვს ხელოვნების განვითარებაში. 2019 წელს პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის განადგურების შემდეგ, მისი აღდგენის ფონდში 200 მილიონი დოლარი გადარიცხა.

**რუსუდან ქოზულია**

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე —
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

**ავტორთა საყურადღებოდ!**
**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 28 ნოემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.3193; ევრო - 3.9447;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4329;
100 რუბლი - 4.3629; თურქული ლირა - 0.4171;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9525;
1000 სომხური დრამი - 6.5534.

**ამინდი 26 ნოემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +9 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –5, | დღე | +5 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე | +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –2, | დღე | +7 |
| თბილისი: | ღამე | +4, | დღე | +8 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge